ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 29 ოქტომბერი, 2013 №256 (6257) ფასი: 30 თეთრი

## სომხეთიდან საქართველოში დაავადებული კარტოფილი შემოიტანეს

გვ.6



# გიორგი მარგველაშვილი: „ნაციონალებს არ გავრიგებივართ!“



გვ.3

ივანიშვილი შემცვლელს შაბათს დაასახელებს

## ნინო ბურჯანაძე: „კოჰაბიტაციის ნაცვლად ორ სახელისუფლებო ძალას შორის მჭიდრო თანამშრომლობა მივილეთ“

გვ.2





## ნანა კაკაბაძე: „უბნების 80%-ზე ხმების პირდაპირი ჩაყრა არ მომხდარა“

გვ.4





## გელა კვაჭანტირაძე: „არჩევნების შედეგები ეჭვს არ იწვევს“

გვ.6



გვ.2

### რატომ არ ჩატარდა თუშეთში საპრეზიდენტო არჩევნები?

### ახალაიას ადვოკატ გოგა ონიანს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება

გვ.5





გვ.4

### ვინ ამახინჯებს მეტეხის პლატოს

### რიჩარდ ნორლანდი: „ყველა პარტიას ერთობლივი და კონსტრუქციული მუშაობისკენ მოვუწოდებთ“



გვ.6

### ბაჩო ახალაიას 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს



გვ.5

### თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილისთვის არც მოსვლა უკითხავს ვინმეს და არც წასვლას არავინ ჰკითხავს“



გვ.7

### მიხეილ სააკაშვილი: „ნაციონალური მოძრაობის 21%-იანი შედეგი გამარჯვების მყარი საფუძველია“

გვ.6



ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** ავლაბარში არჩევნები გიორგი მარგველაშვილმა მოიგო

**11** სერგეი ლავროვი: უკრაინისთვის შეღავათები დასრულდა

**5** „სამწუხაროა, რომ ორ რუს დელეგატს არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მისიაში“

**11** სირიელი მეამბოხეები რეჟიმთან მოლაპარაკებას არ აპირებენ

# რატომ არ ჩატარდა თუშეთში საპრეზიდენტო არჩევნები?

შორენა მარსაგიშვილი

27 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებით სრულიად მსოფლიო დარჩა აღფრთოვანებული. არჩევნებმა მშვიდ, ტკბილ და მურაბა ატმოსფეროში ჩაიარა. წინა არჩევნებზე ისეთი ამბები იყო, 3 საუკუნის წინ გარდაცვლილი მიცვალებული წამოხატებოდა საფლავიდან. ახლა კი საარჩევნო უბნებზე სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. რამაც ჩვენს დემოკრატიულ იმიჯზე ძალიან დადებითად იმოქმედა.

ეს დადებითი და საამური არჩევნები მთელი საქართველოს მასშტაბით არ ჩატარებულა. აფხაზეთში და სამაჩაბლოში არჩევნები გასაგები მიზეზების გამო ვერ ჩავატარეთ, მაგრამ საარჩევნო ყუთმა თუშეთში რატომ არ ააღწია ცოტა გაუგებარია.



თუშეთში არჩევნები რომ არ ტარდებოდა, ეს ინფორმაცია ჯერ სოციალური ქსელებით გავრცელდა. რასაც თავიდან ბევრი არ იჯერებდა.

გუშინ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ომალოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოადგილემ ლადო კახოიძემ განუცხადა, ამ დროისთვის სოფელ შენაქოში 3, ომალოში კი 7 ადამიანია დარჩენილი, დანარჩენები გამოსაზამთრებლად ახმეტაში წავიდნენ.

ახმეტის მე-18 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მინდია იუკურიძის განცხადებით, თუშეთში სულ 108 ამომრჩეველია რეგისტრირებული, მათი ნაწილი საქართველოში არ იმყოფება, ნაწილმა კი, რომლებიც თუშეთში არიან ხმა უგზოობის გამო ვერ მისცეს. როგორც იუკურიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, უამინდობის გამო თუშეთში ასვლა და გადასატანი ყუთის 19:00 საათამდე უკან დაბრუნება ვერ მოესწრებოდა.

– თუშების უმეტესობა ბარშია ჩამოსული ზამთრისთვის, მათთვის ქვემო ალვანში სპეციალურად გაიხსნა მე-14, თუშეთის საარჩევნო უბანი და იქ მისცეს ხმა. ვინც თუშეთში იმყოფებოდა, მათ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს, რადგან გადასატანი ყუთი რომ გაგვეგზავნა თუშეთში, საღამოს 7 საათამდე უბანზე დაბრუნებას ვერ მოასწრებდა. გასულ წელს, მაგალითად, ყუთი გავგზავნეთ თუშეთში, რადგან მაშინ არჩევნები 1 ოქტომბერს იყო და ამინდები არ იყო გაუარესებული, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მინდია იუკურიძემ.

სხვათა შორის თუშეთში არჩევნები გაცილებით უარეს კლიმატურ პირობებში ჩატარებულა. და ახლაც ჩაატარებდნენ ძალიან რომ მოენდომებინათ. თუ გავითვალისწინებთ რამხელა საქმის აკეთებენ იქ მყოფი ადამიანები ქვეყნისთვის, არჩევნების ჩატარება ღირდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ამ ადამიანების წყალობით არ არის ეს კუთხე მთლიანად დაცლილი.

ახმეტის საარჩევნო ოლქის მე-14 თუშეთის უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 80-მა ადამიანმა მიიღო. საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 50 ხმა გიორგი მარგველაშვილმა მიიღო, 14 დავით ბაქრაძემ, 10 ნინო ბურჯანაძემ, 6 შალვა ნათელაშვილმა. არცერთმა თუშმა არ მისცა ხმა გიორგი თარგამაძეს.

ცესკოს მონაცემებით კახეთის ყველა საარჩევნო ოლქში გიორგი მარგველაშვილი იმარჯვებს. მეორე ადგილზეა დავით ბაქრაძე, მესამეზე ნინო ბურჯანაძე.

დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში, ამ დროისთვის ხმები 21 საარჩევნო უბანზეა დათვლილი. ცესკოს ინფორმაციით, დედოფლისწყაროში გიორგი მარგველაშვილმა ხმების 79, 39% (8897 ხმა) მიიღო. დავით ბაქრაძემ 11,59% (1299 ხმა), ნინო ბურჯანაძემ 4,8% (538 ხმა). შალვა ნათელაშვილმა 2,19% (245 ხმა). გიორგი თარგამაძემ 0,87% (97 ხმა), კობა დავითაშვილმა 0,37% (42 ხმა).

საგარეჯოს საარჩევნო ოლქის 43 უბანზე 66,31%-ით (10 579 ხმა) გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. 17, 68% ( 2821 ხმა) აქვს დავით ბაქრაძეს. 9,93% (1585 ხმა) ნინო ბურჯანაძეს. 3,19% (509 ხმა) შალვა ნათელაშვილს. 1,29% (206 ხმა) გიორგი თარგამაძეს. 0,63% (100 ხმა) კობა დავითაშვილს.

გურჯაანის ოლქის 47 უბანზე შედეგები ასეთია – გიორგი მარგველაშვილი 59,12% (15 448 ხმა), დავით ბაქრაძე 24,29% (6346 ხმა), ნინო ბურჯანაძე 9,04% (2363 ხმა), შალვა ნათელაშვილი 4,13% (1079 ხმა), გიორგი თარგამაძე 1,45% (378 ხმა), კობა დავითაშვილი 0,71% (185 ხმა) ზურაბ ხარატიშვილი 0,53% (139 ხმა).

სიღნაღის საარჩევნო ოლქის 35 უბანზე ხმების 68,54% (11736 ხმა) მიიღო გიორგი მარგველაშვილმა. 16,6% (2843 ხმა) დავით ბაქრაძემ. 9,53% (1632 ხმა) ნინო ბურჯანაძემ. 2,88% (493 ხმა) შალვა ნათელაშვილმა. 1,06% (181 ხმა) გიორგი თარგამაძემ. 0,54% (92 ხმა) კობა დავითაშვილმა.

ლაგოდეხის 35 საარჩევნო უბანზე ხმები ასე გადანაწილდა: გიორგი მარგველაშვილი 61,79% (11122 ხმა), დავით ბაქრაძე 23,14% (4165 ხმა), ნინო ბურჯანაძე 10,37% (1867 ხმა), შალვა ნათელაშვილი 1,92% (345 ხმა), გიორგი თარგამაძე 1,01% (182 ხმა), კობა დავითაშვილი 0,51% (91 ხმა).

ყვარლის საარჩევნო ოლქში დათვლილ 28 საარჩევნო უბანზე 55,95%-ით (7954 ხმა) იმარჯვებს გიორგი მარგველაშვილი. 25,62% (3642 ხმა) აქვს დავით ბაქრაძეს. 12,44% (1768 ხმა) ნინო ბურჯანაძეს. 0,92% (131 ხმა) შალვა ნათელაშვილს. 3,62% (514 ხმა) გიორგი თარგამაძეს. 0,52% (74 ხმა) კობა დავითაშვილს.

თელავის ოლქის 51 უბანზე გიორგი მარგველაშვილმა მიიღო ხმების 50,04% (11 674 ხმა), დავით ბაქრაძემ 26,56% (6 195 ხმა), ნინო ბურჯანაძემ 14,48% (3379 ხმა), შალვა ნათელაშვილი 5,24% (1222 ხმა) გიორგი თარგამაძემ 1,92% (448 ხმა), კობა დავითაშვილმა 0,79% (184 ხმა).

ახმეტაში, 27 უბნის შედეგების მიხედვით, 61,16% (8289 ხმა) აქვს გიორგი მარგველაშვილს. 21,31% (2888 ხმა) დავით ბაქრაძეს. 11,21% (1519 ხმა) ნინო ბურჯანაძეს. 4,21% (570 ხმა) შალვა ნათელაშვილს. 0,88% (119 ხმა) გიორგი თარგამაძეს. 0,44% (59 ხმა) კობა დავითაშვილს.

# ავლანეთში არჩევნები გიორგი მარგველაშვილმა მოიგო

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ნაციონალებმა ლამის დიდი ზეიმი გამართეს. ნაცმოძის ნიუს-მეიკერმა გოგა ხაჩიძემ ერს, „ფეისბუქის“ მეშვეობით აუწყა, ავლანეთში არჩევნები დავით ბაქრაძემ მოიგოო. ყველაზე საინტერსო ის გახლდათ, რომ ეს ცნობა „ფეიბუქის“ პოსტების მეფემ მანმადე დადო, სანამ ყუთი თბილისში ჩამოვიდოდა.



ცესკომ მაშინვე გაავრცელა განცხადება, ავლანეთის ჩატარებულ არჩევნების შედეგებსაც 27 ოქტომბრის ღამეს დავითვლითო. გოგა ხაციძე და მისი საძმო კი პირველ ჩვენებას „აწვებოდნენ“.

რამდენიმე დღეში დამტკიცდა, რომ ხაჩიძე იტყუებოდა. ხმების დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ ავლანეთიც მარგველაშვილმა მოიგო.

ავლანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტისათვის გახსნილი ორივე უბნის კენჭისყრის შედეგები ცნობილია. ცესკოს მონაცემებით, ავლანეთში გახსნილი ერთი უბანი, „ერედვი“ დავით ბაქრაძემ მოიგო, ხოლო მეორე უბანი „ლეზერნიკი“ – გიორგი მარგველაშვილმა. „ლეზერნიკში“ მარგველაშვილმა 415 ხმა მიიღო, ხოლო ბაქრაძემ -278.

„ერედვში“ ბაქრაძემ 318 ხმა აიღო, ხოლო მარგველაშვილმა – 285. ორივე უბნის ჯამური მონაცემით, ავლანეთში მარგველაშვილმა სულ 700 ხმა აიღო და ბაქრაძეს (596) 104 ხმით აჯობა.

# ნინო ბურჯანაძე: „კოჰაბიტაციის ნაცვლად ორ სახელისუფლებო ძალას შორის მჭიდრო თანამშრომლობა მივიღეთ“

## ივანიშვილი „დემოკრატიულ მოძრაობას“ მთავარ არასაპარლამენტო ოპოზიციად მიიჩნევს

შორენა მარსაგიშვილი

დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე დარწმუნებული იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური დაინიშნებოდა. მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ მეორე ტურში სწორედ ის გავიდოდა გიორგი მარგველაშვილთან ერთად.

არჩევნები სხვანაირი შედეგით დასრულდა. პრეზიდენტის ვინაობა პირველივე ტურში გაირკვა, ბურჯანაძემ კი მესამე ადგილი დაიკავა. მისი მესამე ადგილზე გასვლა მეოცნებეებს და ნაციონალებს ერთიანად გაეხარდათ. ნაციონალების სიხარული გასაგებია, მაგრამ ოცნების სიხარულის მიზეზი საეჭვოა. ამ მიზეზებს დრო გამოაჩენს.

გუშინ მთელი საქართველო ბურჯანაძისგან საპროტესტო აქციების დაანონსებას ელოდა. მოლოდინმა არ გაამართლა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქუჩაში გასვლას როგორც სჩანს არ აპირებს. გუშინ მან არჩევნების შედეგები აღიარა. ამასთან აღნიშნა, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის სამარცხვინო და ცინიკური გარიგება მოხდა, რის შედეგადაც ერთი დიდი სახელისუფლო ძალა ჩამოყალიბდა.

ბურჯანაძემ გუშინ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს, ადამიანებს, რომელთა თანადგომას მთელი საარჩევნო კამპანიის დროს გრძნობდა, „სახალხო კრებას“, რომელმაც დაასახელა იგი პრეზიდენტობის კანდიდატად და ასევე მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომელთან ერთადაც შეხვედრებზე მისი საარჩევნო პროგრამა შეიქმნა და შემუშავდა.

– ჩვენ ვიცით, რომ იმ ადამიანების რიცხვი გაცილებით მეტია, ვინც ჩვენ მოგვცა ხმა. ამის მიუხედავად, მე ვაცხადებ, რომ არჩევნები შედგა. ფაქტია, რომ ამომრჩევლების უმეტესობამ ხმა მისცა ივანიშვილის კანდიდატს. წინასაარჩევნო პერიოდში იყო განუსაზღვრელი თავისუფლება წინა წელთან შედარებით, თუმცა ამის მიუხედავად 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანობის, თანასწორობისაგან და ევროპული არჩევნებისაგან ძალიან შორს იყო. ეს არჩევნები ჩატარდა „ნაცმოძრაობის“ მიერ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული უსამართლო საარჩევნო სისტემით. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ეს სისტემა კარგად მოირგო. გუშინდელმა დღემ ნათლად დაანახა მთელ საქართველოს, რომ კოჰაბიტაციით „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის 28 ოქტომბერს მივიღეთ მჭიდრო თანამშრომლობა ორ დიდ სახელისუფლებო ძალას შორის. ეს არის იმის შედეგი, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის მოხდა სამარცხვინო და ცინიკური გარიგება და სწორედ ამ გარიგების შედეგია ის, რაც დაიდო არჩევნების შედეგად. არჩევნების შედეგები არ ამართლებს იმ ადამიანების მოლოდინს, რომლებმაც 1 ოქტომბერს ხმა მისცეს „ქართულ ოცნებას“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის თქმით, დღეს ჩვენ ქვეყანაში მივიღეთ ერთი პოლიტიკური ძალის მიერ ხელისუფლების მონოპოლიზაცია, ვინაიდან დღეიდან ნაციონალები და „ქართული ოცნება“ ერთი ძალაა. ბურჯანაძე სწორედ მათ აკისრებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით.

– აღნიშნულის გამო ვეღარ მოხერხდება იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც მას ჰქონდა და გაუგებარი რჩება თუ როგორ მოხდება საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა საკითხები. ყოველივე ამაზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრება. ქვეყნის ხელისუფალთ ქვეყნის მართვის მწყობრი და სისტემური ხედვა არ გააჩნიათ და ასევე არ იგრძნობა რეალურად ძალა, ვინც განახორციელებს იმ დანაპირებს, რომელიც ხალხს გასული წლის 1 ოქტომბერს მისცეს, – ამბობს პარლამენტის ყოფილი სპიკერი.

მისი თქმით, დემოკრატიული მოძრაობა ვალდებულია იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც ხმა მისცა მათ, ასევე იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც არც ერთ სახელისუფლებო ძალას არ მისცა ხმა. ამ ადამიანების წინაშე ისინი ვალდებული არიან შეინარჩუნონ ქვეყანაში ძალთა ბალანსი და არ დაუშვან ერთი გარიგებული ძალის მიერ ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის მონოპოლიზაცია.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციას გააქტიურებისკენ მოუწოდებს. იგი ერთ-ერთ მთავარ არასაპარლამენტო ოპოზიციურ ძალად „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და მის ლიდერს ნინო ბურჯანაძეს ასახელებს, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. ამასთან, ივანიშვილის იმედოვნებს, რომ ბურჯანაძე ჩვეულ შემართებას არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნებს და კვლავ აქტიურ და კონსტრუქციულ ძალად დარჩება.

– არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობით, დღეს ნინო ბურჯანაძის პარტია წარმოდგება და ეს დასაფასებელია. ძალიან პოზიტიურად ვაფასებ ქალბატონ ნინოს როლს დღევანდელ პირობებში და კარგია, რომ მან მოახერხა და პრინციპში სხვა ძალა არც ჩანდა, რომელსაც შეეძლო პარლამენტს გარეთ ასეთი სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია. მან კარგად იმუშავა ამ არჩევნების პროცესში. ვფიქრობ, რომ მომავალშიც აქტიური დარჩება. ოპოზიციას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ სექტორში, იქ, სადაც მე გადავდივარ. გადამწყვეტი როლი იქ ოპოზიციას ენიჭება. პოლიტიკური ოპოზიცია უნდა იყოს ხელისუფლების მაკონტროლებელი. ის არის ხელისუფლების ძირითადი მოპაექრე, – აცხადებს ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრი ოპოზიციაში ახალგაზრდების ჩართულობაზეც აკეთებს აქცენტს. ის იმედოვნებს, რომ ოპოზიციური სპექტრი სამომავლოდ კიდევ უფრო გაფართოვდება და მასში ახალგაზრდებიც ჩაერთვებიან.

– სხვათაშორის ძალიან მწირია და ზოგადად, არასაპარლამენტო ოპოზიციას აქვს ძალიან დაბალი ისტემბლიშმენტი. ეს იმის გამო, რაც ხდებოდა ბოლო 9 წლის განმავლობაში და თუ როგორ ებრძოდა ოპოზიციას ხელისუფლება. მე მოვედი პოლიტიკაში და ის ხალხი, რომელიც იყო ნაცემ-ნაგვემი, დაუფინანსებელი, მაქსიმალურად ამოვკენკე და შევქმენი გუნდი. დიდ იმედს ვიტოვებ, რომ ახალგაზრდებიდან ახალი ძალები გაჩნდებიან, უნდა მოვიდეს ახალი უმწიკვლო ძალა, ახალი ენერგიითა და ახალი იდეებით. არასაპარლამენტო პოლიტიკურ სპექტრს გაფართოება და გაძლეირება სჭირდება, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი მარგველაშვილი: „ნაციონალებს არ გავრიგებივართ!“

## ივანიშვილი შემცვლელს შაბათს დაასახელებს

ნათია ხურცილავა

პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და მომავალმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ორსაათიან პრესკონფერენციაზე პრემიერმა და მომავალმა პრეზიდენტმა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა განაცხადა, რომ მომავალი პრემიერის ვინაობას ორშაბათს დაასახელებდა, მას გუშინ მედიისთვის არ უთქვამს, ვინ იქნება ახალი პრემიერ-მინისტრი. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტს 24 ნოემბერს დატოვებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, 24 ნოემბერს მას კრება აქვს დანიშნული, რომელზეც ის გადადგება და სწორედ მაშინ წარუდგენს საზოგადოებას ახალ პრემიერს.

– 24 ნოემბერს კრება მაქვს დანიშნული, სადაც მე გადავდგები, რომელზეც მე პარტიიდან და პოლიტიკიდან წავალ. მანამდე მე პოლიტიკაში ვრჩები და ზუსტად ამ დროში ვაპირებ ჩემი კანდიდატის შეთანხმებას. მის შემდგომ არა. ეს კარგად დააფიქსირეთ. – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი ამბობს, მთავრობაში ცვლილებები არ იქნება და მინისტრები პოსტებს შეინარჩუნებენ.

– მთავრობაში ცვლილებები არ იქნება, თეორიულად შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ პრაქტიკულად, მე ამის გეგმა არ მაქვს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალი პრემიერი, რომელიც დასახელდება, მას ექნება უფლებები და მას შეეძლება გუნდში ცვლილებები გამოიწვიოს. მართალია, ამის ცოტა ალბათობა არსებობს, რამეთუ ის გუნდის წევრია და იცის საერთო პოზიცია. თეორიულად შეიძლება, რაღაც ცვლილება მაინც მოხდეს, თუმცა ჩემი გადმოსახედიდან, ყველა მინისტრი შეინარჩუნებს თავის თანამდებობას. – განაცხადა ივანიშვილმა.



გუშინ კითხვა მერის კანდიდატურაზეც დაისვა. როგორც ცნობილია ივანიშვილს უკვე ჰყავს სასურველი კანდიდატი მერის პოსტზეც, რომელსაც პრემიერი დანიშვნის მერე დაასახელებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა პოსტის დატოვებამდე გუნდის წევრებთან ახალი მერის ვინაობას დაასახელებს.

– მერის კანდიდატურას იმის მერე დავასახელებ, როცა პრემიერი დაინიშნება. ჩვენ 17 ნოემბერს მთავრობა უნდა გადადგეს და ახლიდან დაინიშნოს. რაც შეეხება პრემიერს, შიდა თათბირს დავასრულებთ ჩვენს გუნდში და მერე დავასახელებთ პრემიერის. მე ვფიქრობ, რომ მთავრობის წევრებს გადახარისხება არ დასჭირდებათ და ეს პრაქტიკულად არ მოხდება. სამშაბათს-ოთხშაბათს შეიძლება, პარლამენტმა დაამტკიცოს ახალი მთავრობა. თქვენ ათი დღით ადრე გაიგებთ პრემიერის ვინაობას. 24 ნოემბერს დავგეგმეთ ჩვენ „ქართული ოცნება“ კრება და მანამდე შეიძლება, მე ჩემი აზრი დავტოვო საბჭოში თუ ვინ მიმაჩნია მერის კანდიდატად, ეს 20-24 ნოემბრამდე მოხდება. – განაცხადა ივანიშვილმა.

რა ფორმით ექნება ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილს მინისტრთა კაბინეტთან? ახალ პრეზიდენტთან? ეს არის ის კითხვა, რომელზეც პასუხი ჯერ არ არსებობს. თუმცა, ივანიშვილი ამბობს, რომ ეს ურთიერთობა საჯარო იქნება. როგორც ის ამბობს, საზოგადოებრივ სექტორში გადასვლით საზოგადოებას სწორი ანალიზის გაკეთებაში დახმარებას შეეცდება.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კონკრეტულს ჯერ ისევ ვერაფერს იტყვის ამ მიმართულებით, რას და როგორ გააკეთებს, თუმცა ფიქრობს, რომ ეფექტური იქნება ეკონომიკური კუთხით.

– საზოგადოებრივ სექტორში ჩემს ფუნქციას ვხედავ მრავალმხრივად. როგორი ფორმით გავაკეთებ ამას და ჯერჯერობით ვერ ვიტყვი. პირველი, რაც მე ვთქვი, არის ის, რომ დავეხმარები სწორი ანალიზის გაკეთებაში საზოგადოებას, თუ როგორ უნდა შეარჩიოს პოლიტიკოსი, როგორ უნდა შეაფასოს მედია თუ ექსპერტი. ეკონომიკურ ნაწილს რაც შეეხება, რაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი გამოწვევაა, ამ მხრივ უფრო ეფექტური ვიქნები, მგონი, საზოგადოებრივ სექტორში მყოფი, ვიდრე მთავრობაში. წასვლის შემდგომ ნელ-ნელა უფრო გამოვკვეთავ ძირითად კონტურებს, თუ რას, სად და როგორ გავაკეთებ. – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მარგველაშვილის განცხადებით, კეკლუცობა იქნება იმის თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილის აზრი მისთვის საშუალო მნიშვნელობის იქნება. პრემიერთან მას მეგობრული ურთიერთობა აქვს და კონსულტაციებისთვის მიმართვა არ გაუჭირდება.

ივანიშვილი კი ამბობს, რომ მარგველაშვილს მისგან რჩევების მიღება ხშირად არ მოუწევს, რადგან მათ თითქმის იდენტური მსოფლმხედველობა აქვთ.

– ჩემი პოზიციის დაფიქსირება უფრო ხშირად საჯაროდ მომიწევს და გიორგი ალბათ, ამას ყურადღებას მიაქცევს. რა ქვეტექსტებიც ისმის, თითქოს მე კულისებიდან ვაპირებ რაღაცების მართვას და ძალადობას, გიორგიმ ამას კეკლუცობა დაარქვა და კი ბატონო, იკეკლუცეთ, შეგიძლიათ, ეს წარმოდგენა გქონდეთ, მაგრამ გიორგი არ არის ისეთი ადამიანი, ვისზეც ადვილად შეიძლება, გავლენა მოახდინო. ჩემი ღირებულებები და ფასეულობებია ევროპული და თუ ვინმემ არჩეულ კურსს გადაუხვია და მე ამის გამოსასწორებლად მოვახდენ გავლენას, არ უნდა გიხაროდეთ მათ, ვისაც ევროპელობა გვინდა?! რატომ იქნება ეს ცუდი და შემაშფოთებელი?! – ასეთია ივანიშვილის პოზიცია.

პრემიერ-მინისტრმა კომენტარი ბაქრაძის მიერ მიღებულ შედეგებზეც ისაუბრა.

პრემიერის პოზიციაა, რომ ნაციონალური მოძრაობის 21% საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე მიუთითებს მისი შეფასებით, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის დავით ბაქრაძის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა გასაკვირი აღმოჩნდა.

–ნაციონალურმა მოძრაობამ 20%-21% მიიღო და გამოჩნდა, რომ პოლიტიკური კულტურა გვაკლია. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთმა ჟურნალისტმა თუ ექსპერტმა ვერც ერთი შეცდომა ან დაპირების შეუსრულებლობის ფაქტი ვერ შეგვახსენა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მაინც ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირა მხარი. ხალხი გაოგნებულია, როგორ მიიღო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა 20%-21%. ხალხმა ან დაივიწყა რაღაცები, ან რაღაც თამაშებში ჩაერთო. – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დაამატა, რომ საჭიროა, თითოეულმა მოქალაქემ საკუთარი წვლილი პასუხისმგებლობა იტვირთოს.

ასევე, პრემიერმა აღნიშნა, რომ როგორც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, ისე მისი მხარდამჭერები საზოგადოების წევრები არიან, თუმცა გაუგებარი მხარდაჭერა გაუგებრობაში ყოფნას ართულებს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კითხვა დაუსვეს პრემიერს გუბერნატორების თემაა, რომლებიც თანამდებობების დატოვებას აპირებენ. როგორც ცნობილია, ამ საკითხზე მთავრობა უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

– ვიმსჯელებთ ამ საკითხზე. მგონია, საბჭოსთანაც დაგვჭირდება, პოლიტიკური თემაცაა ეს, გარდა იმისა, რომ მთავრობის პრეროგატივაა. მომავალ პრეზიდენტსაც შევუთანხმებთ. მსჯელობა არ დაგვიწყია. – განაცხადა ივანიშვილმა.

გუბერნატორებს შესაძლო ნებაყოფლობით გადადგომას, პრემიერი რევერანსად არ უთვლის, მეტიც ის აცხადებს, რომ ასეც უნდა მომხდარიყო.

– ვერ ჩავთვლი, რომ ეს კეთილი სურვილებით გააკეთეს. არც ერთ მათგანს არ ვიცნობ, მაგრამ დაახლოებით წარმომიდგენია, როგორი წარმომადგენლები ჰყავდა ჩვენს პრეზიდენტს. – განაცხადა ივანიშვილმა.



ხოლო კითხვაზე, როგორ წარმოუდგენია მას პოლიტიკური ცხოვრება ორი ლიდერის – მიხეილ სააკაშვილისა და თავად მის გარეშე და როგორ აფასებს ივანიშვილი პოლიტიკური სპექტრის სიმწიფის დონეს? ასე პასუხობს:

– რაც შეეხება 2 ლიდერს, მე მგონი, სააკაშვილი საკუთარი პარტიის ლიდერადაც კი არ სურთ, როგორც ხმები მოდის. არანაკლები ლიდერი და ძალიან მაგარი პრეზიდენტი გეყოლებათ. წარმოდგენა ჩემზე და დამატებითი საზოგადოების ნდობა რაც გამაჩნია, ვთვლი, რომ საჭირო არ არის, მე ამის განმარტებებიც გავაკეთე. შესაბამისად, მე ძალიან კარგ ადგილზე გადავდივარ და იქიდან ვიქნები უფრო ნაყოფიერი და გამოსადეგარი. – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ სპექტრსა და მის კულტურას, პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი შესაბამისობაშია.

– საზოგადოება და მისი ნაწილები და პოლიტიკოსები, მედია, არასამთავრობოები თუ ე.წ. ანალიტიკოსები და ექსპერტები, ეს ყველაფერი შესატყვისობაშია. რაც ალხანა, ის ჩალხანა. ჩვენ ერთნი ვართ. ყველანი ერთი ორგანიზმის ნაწილები ვართ და ყველანი ვსაჭიროებთ განვითარებას. ამ მხრივ მე მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ახალი ხელისუფლება, ახალ პრეზიდენტთან ერთად წინ გადადგმული ნაბიჯია და უფრო წინ წამოწეულია. საზოგადოებიდან საუკეთესო ნაწილია, დღეს მე ეს პრეტენზია მაქვს. დანარჩენი ნაწილი საჭიროებს უფრო მეტს. ამ დონეზე მოსვლასაც. მთავარია ეს კარგად გავაცნობიეროთ. ჩემი გადმოსახედიდან პოლიტიკური ისტებლიშმენტი სუსტია, მაგრამ ეს საერთო საზოგადოების პრობლემაა. პოლიტიკოსებიც იმ საზოგადოების ნაწილი არიან, რომლებიც განვითარებას საჭიროებს. – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება არჩევნების დროს სამართალდამცავების როლს? პრემიერი აცხადებს:

– სამართალდამცველებმა წარმატებით გაართვეს თავი არჩევნების დღის ჩატარებას. დიდი ძალდატანებაც არ ჰქონიათ მათ, არ ჰქონიათ მძიმე დღე, რადგან ძალიან კულტურულად ჩატარდა არჩევნები. მე სერიოზული დარღვევების შესახებ არ მსმენია, გარდა პატარ-პატარა უმნიშვნელო დარღვევებისა. შესაბამისად, შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ წარმატებულად გაართვეს თავი. – განაცხადა ივანიშვილმა.

გიორგი მარგველაშვილისგან ჟურნალისტებს აინტერესებდათ როგორი ურთიერთობა ექნება მას პრესასთან, ჩვენი კითხვის პასუხად მომავალმა პრეზიდენტმა გვიპასუხა, რომ ის ფორმატზე ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა პრესასთან ღია ურთიერთობა იქნება. ივანიშვილმა კი დაამატა, რომ მარგველაშვილი ჟურნალისტებისთვის მისაწვდომი იქნება.

– ბიძინა ივანიშვილი რა ფორმატითაც ხვდება ჟურნალისტებს, ეს ბიძინას ფორმატია, მე რა ფორმით და ინტენსივობით მექნება შეხვედრები, ამას დავალაგებ და მოგახსენებთ, ჯერ ამის შესახებ არ მიფიქრია, მაგრამ ღიაობა იქნება და ამის სიტყვას გაძლევთ. – აღნიშნა მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის განცხადებას, რომ გარიგება მოხდა ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის, მარგველაშვილი პატიოსან სიტყვაზე აპელირებს.

– პატიოსან სიტყვას ვამბობ, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არ გავრიგებულვართ. ნამდვილად არ გავრიგებულვარ, ამას ვამბობ, როგორც ადამიანი და როგორ კაცი, რომელსაც აქვს უფლება, რომ მისი სიტყვას დაუჯეროთ. ნაციონალურ მოძრაობასთან ნამდვილად არ გავრიგებულვარ. – პასუხობს ბურჯანაძეს მარგველაშვილი.

ითანამშრომლებს თუ არა მარგველაშვილი ნაციონალურ მოძრაობასთან? ის საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობას არ გამორიცხავს.

გიორგი მარგველაშვილი ინაუგურაციის შემდეგ ყველა ელჩს დაამტკიცებს.

– ექსპერტების 100% ამბობდა, რომ მეორე ტური იქნებოდა, მე ვერ ვიხსენებ ექსპერტს, რომელიც ამბობდა, რომ მეორე ტური არ იქნებოდა. მოხდა ჩვენი ხელისუფლების და ძალის კონსოლიდაცია. მე ვამბობდი, რომ კოჰაბიტაცია დამთავრდება და ეს მოხდა კიდეც. როგორც კი ხელისუფლების გადმობარება მოხდება, მოვახდენთ ელჩების დანიშვნას და ყველა იმ პროცესს, რაც შეჩერებული იყო წინა პრეზიდენტის მიერ. ის იყო პოლიტიკურ დაპირისპირებაში არა უბრალოდ „ქართულ ოცნებასთან“, არამედ ქვეყნის განვითარებასთან, პროცესთან. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობას, მე ვთვლი, რომ ერთადერთი საკითხი, რაზეც ჩვენ შეიძლება შეთანხმებული ვიყოთ, ეს არის ქვეყნის გარეთ საქართველოს ინტერესების დაფიქსირება. მე იმედი მაქვს, რომ სიძულვილი, რომელიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს ამ პოლიტიკური ჯგუფის ზოგიერთ წევრში, არ შეუშლის მათ ხელს, რომ არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებით, მჭიდრო თანამშრომლობაში ვიყოთ, ეს პოზიციები დავაფიქსიროთ ევროპაში და საერთაშორისო ფორუმებზე, თუნდაც ამ არჩევნებზე იმ თვალსაზრისით, რომ დემოკრატიის კონსოლიდაცია სწორედ ჩვენმა



პოლიტიკურმა ძალამ მოახერხა. შეძლონ მათ და ეს დააფიქსირონ, იმიტომ, რომ ეს არ არის უბრალოდ ჩვენი გამარჯვება, ეს არის ქვეყნის გამარჯვება. – განაცხადა მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მარგველაშვილის თქმით, მას ვერ წარმოუდგენია ნაციონალურ მოძრაობასთან რაიმე სახით თანამშრომლობა.

– მე რეალურად ახლა ვერ წარმომიდგენია, თემა რომელშიც ჩვენ შეიძლება, გაერთიანებული ვიყოთ. – განაცხადა მარგველაშვილმა.

ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი გადადგომას აპირებს. ჟურნალისტებს მარგველაშვილმა გვითხრა, რომ ბოკერიას შემცვლელი შერჩეული ჰყავს. თუმცა სურს, ჯერ მას გააგებინოს ამის შესახებ და შემდეგ საზოგადოებას.

– უშიშროების საბჭოს მდივანი შერჩეული მყავს, მაგრამ მინდა, რომ მანაც იცოდეს და არა თქვენ. როგორც ეს პრემიერ-მინისტრის შემთხვევაში არის. ჯერ იმ ადამიანს მინდა, გავაგებინო და მერე თქვენ. – განაცხადა მარგველაშვილმა.

უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, ის ბრძოლას ნაციონალური მოძრაობის გუნდში გააგრძელებს.

ჟურნალისტების უმთავრესი ინტერესის წყაროს ვილნიუსის სამიტი წარმოადგენდა. რა როგორც წარადგენს მარგველაშვილი ვილნიუსის სამიტზე ჩვენს ქვეყანას?

მომავალი პრეზიდენტის განცხადებით, ის, რაც მოხდება ვილნიუსში, ჩვენთვის მხოლოდ დასაწყისია.

– ვილნიუსის შეხვედრა არის უაღრესად მნიშვნელოვანი, ამიტომ, რომ ეს არის ჩვენი ევროპული არჩევანი და ამის აღიარება ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან. ის, რაც მოხდება ვილნიუსში და ეს იქნება ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პარაფირება, არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენთვის, იმიტომ, რომ ინსტიტუციური საფუძველი ეყრება საქართველოს, როგორც ევროპული ოჯახის წევრი ქვეყნის სტატუსის განმტკიცებას. თქვენ იცით, რომ ვილნიუსის შემდეგ არის მთელი ერთწლიანი პერიოდი, როდესაც ბევრი საშინაო დავალებაა გასაკეთებელი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უკვე შემოდგომისთვის გვექნება ხელმოწერა. ეს არის საკმაოდ სწრაფი გზა ამ პროცესისთვის, რადგან ამ გზას, როგორც წესი, ორი წელი სჭირდება ხოლმე. ჩვენ მოვახერხეთ და ვაღწევთ იმას, რომ შესაძლოა, ძალიან სწრაფი ტემპებით მივაღწიოთ გამარჯვებას. ამას შემდეგ კიდევ მოჰყვება გრძელი პროცესი, რადგან ხელმოწერას მოჰყვება რატიფიკაცია ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ უკვე დავკარგეთ ტემპი, რაღაცები ასანაზღაურებელი იქნება. შესაბამისად, ვილნიუსში ჩვენ, რა თქმა უნდა, მივდივართ პირველ რიგში, ამ ევროპული ტიპის არჩევნებით, რომელსაც იქ სიამაყით განვაცხადებთ, თუმცა რადგან ტემპი უკვე დაკარგულია, ინტენსიურად უნდა ავამოქმედოთ ორმხრივი ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან და ამ ურთიერთობების გააქტიურებით ტემპი ამოვქაჩოთ და ერთ წელში მივიღოთ ხელმოწერა, ამ ერთი წლის შემდეგაც დიდი დრო არ დავხარჯოთ ცალკეულ ქვეყნებთან რატიფიკაციაზე. ვილნიუსში იქნება ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ ორმხრივი ურთიერთობების ფორმატები განმტკიცდეს, საგანგებო მნიშვნელობა აქვს აქ გერმანიას, რომელსაც ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. ბუნებრივია, ჩვენი მთავარი სიამაყე ის არჩევნებია, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ. – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

სად იქნება რიგით მეოთხე პრეზიდენტის რეზიდენცია ცნობილია, თუმცა ჯერ ისევ გაურკვეველია, რა ბედი ელის ავლაბრის რეზიდენციას.

მარგველაშვილის აზრით, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია სახალხო სფეროს წარმომადგენლებს უნდა გადაეცეს. თუმცა ის ავლაბრის რეზიდენციის ფუნქციასთან დაკავშირებით გუნდთან აპირებს მოლაპარაკებებს.

– ჩემი აზრია, რომ ეს უნდა იყოს გადაცემული ისეთი სფეროსთვის, რომელიც უფრო სახალხოა. ამაზე გუნდის შიგნით ვისაუბრებ. მე მგონია, რომ ხალხს უნდა დაუბრუნდეს ქონება და მან უნდა მოიხმაროს. სწორედ, ხალხის ფულით აშენდა ავლაბრის რეზიდენცია. – განაცხადა მარგველაშვილმა.

უკვე ცნობილია, რომ საქართველოს რიგით მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია მოკრძალებულად ჩაივლის. ხოლო კითხვაზე, მიწვეული იქნება თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი, ეს უცნობია.

# ნანა კაკაბაძე: „უბნების 80%-ზე ხმების პირდაპირი ჩაყრა არ მომხდარა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, არჩევნების შედეგები ძირითადად ცნობილია, თუმცა ბევრისთვის თავიდანვე ნათელი იყო, თუ რა შედეგები დაიდებოდა. რატომღაც მეორე ადგილზე მთელი წინასაარჩევნო პერიოდი დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა. როგორია თქვენი შეფასებები? საუბარია, რომ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია, იყო მცირე დარღვევები... თქვენ არჩევნების პროცესს მთელი დღის მანძილზე აკვირდებოდით და რისი თქმა შეგიძლიათ?***

— ჩვენ არა მარტო ვაკვირდებოდით, არამედ ვიყავით ბოლომდე ჩართულები ამ პროცესში. აბსოლუტურად ყველა უბანზე გვყავდა დამკვირვებელი, მთელი საქართველოს მასშტაბით. ახლაც ჩვენთან არიან ოფისში ეს დამკვირვებლები, მოაქვთ ოქმები და ისმენენ, რასაც თქვენთან ვსაუბრობ. გვყავდა დამკვირვებლები და ასევე ჩავატარეთ ეგზიტპოლები, გვყავდა მობილური ჯგუფებიც. ანუ ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ არჩევნები არ გაყალბებულიყო, გამჭვირვალე ყოფილიყო და დაგვენახა, რა ხდებოდა არჩევნებზე, ეს ჩვენ გავაკეთეთ მაქსიმალურად. მართლაც გულანთებული და უწესიერესი ადამიანებისგან, რომლებსაც არანაირი ანაზღაურება არ მიუღიათ ამაში და პირიქით, კიდევ უფრო ნათელი სურათი დადო ამ ერთგულმა და თავისი ქვეყნისთვის თავდადებულმა ხალხმა. ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გამოიკვეთა, კი მართალია უბნებზე ყველაფერი იდეალურად ჩატარდა, უშუალოდ ყუთებში არაფერი არ ჩაყრილა, კი მარნეულში და სადღაც იყო ასეთი შემთხვევები და საჩივრებიც დავეწერეთ. არაქართულ რეგიონებში ტრადიციულად ყალიბდება და ახლაც გაყალბდა. თუმცა უბნების 80%-ზე ნამდვილად არ მომხდარა პირდაპირი გზით უბნებზე ხმების ჩაყრა.

***— მაშინ რა მოხდა?***

— ფაქტი არის ის, რომ მთელმა საქართველომ იცოდა, რომ ვერანაირად დათო ბაქრაძე არ შეიძლებოდა მოაზრებულიყო მეორე ადგილზე. თუმცა ამას ხელისუფლება მუდმივად გვაჩვევდა, რომ ბაქრაძე უნდა იყოს მეორე ადგილზე. გვაჩვევდნენ თუნდაც იმით, რომ არ შეაფასეს ეს რეჟიმი, არ გაასამართლეს. ისეთი ბრალდებები წაუყენეს კრიმინალებსაც კი, ვაშლების და კარტოფილის გაფცქვნაზე ჩასვეს ციხეებში და ადამიანები რატომ დაასაქმეო, ამას ემართლებოდნენ ვანო მერაბიშვილს. ბუნებრივია, როდესაც ასეთი ბრალდებებით ადამიანს იჭერ, იქ უკვე აპრიორში დევს ის, რომ შენ რეალურად არ გინდა ამ ადამიანების სისასტიკეების ჩვენება საზოგადოებისთვის. შესაბამისად დადგა გამამართლებელი განაჩენებიც ასეთ ბრალდებებზე. ანუ ხელისუფლების პოზიცია და პოლიტიკა, ამ შავი ძალის გათეთრების, მთელი ამ კოაბიტაციის რეჟიმში ძალიან კარგად ჩანდა. მაგრამ მაინც როგორი მაქინაციებითა და შულერობით მოხდა ის, რომ დავით ბაქრაძე ალმოჩნდა მეორე ადგილზე და თუ რა მექანიზმებით მოხდა ეს ყველაფერი, ჩვენ ამ არჩევნებზე ძალიან კარგად დავინახეთ.

***— მაინც რა დაინახეთ, ქალბატონო ნანა? თუკი არ გაყალბებულა არჩევნები, მაშინ სხვა რაღა მოხდა?***

— ეს მექანიზმი, რომელზეც მე ახლა უნდა ვისაუბრო, მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არის დაბალი აქტიობა, ან საშუალო აქტიობა. დაბალ აქტიობაში ვგულისხმობ იმას, როდესაც მილიონნახევარი-ორმილიონამდე ამომრჩეველია მისული უბნებზე.



როდესაც წინასწარ არის დაგეგმილი, რომ იყოს დაბალი აქტიობა, არ იყოს მაღალი აქტიობა, სწორედ მაშინ მუშაობს ეს ფორმულა, რაზედაც მე უნდა ვისაუბრო. ანუ რა ხდება, თქვენ იცით, რომ კანონმდებლობით უკვე სააკაშვილის დროს ოფიციალურად დაუშვეს ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება იმისათვის, რომ ამომრჩეველი მიიყვანო უბანზე არ ისჯება. ასევე არ ისჯება ის, რომ ვთქვათ, შენ ურეკო შენ ამომრჩევლებს და მიიყვანო უბანზე და მიაცემინო ხმა. ეს არ არის დასჯადი. ჩვენ სააკაშვილის დროს კარგად ვხედავდით, როდესაც ქალბატონები იდგნენ გარეთ და აღრიცხავდნენ, თუ ვინ მოდიოდა და რა რაოდენობით. თან ასეთი ამომრჩევლის მიყვანა ხდება დღის პირველ ნახევარში. იმიტომ, რომ შემდეგ დაეთვალათ, თუ რამდენ პროცენტს აიღებდნენ. ქართულმა ოცნებამაც წინასწარ იცოდა, რამდენი პროცენტი უნდა აეღო. არჩევნებზე მივიდა, ვთქვათ, მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი, ეს რაოდენობა იყოფა 3700 უბანზე. ივანიშვილმა თქვა – მე მინდა, რომ 60%-ზე ნაკლები არ იყოს. ჩვენ დავიანგარიშეთ ეს ყველაფერი და დაიდო შემდეგი სურათი, მათ უბანზე სჭირდებოდათ 250-დან 300 კაცამდე, იმისათვის, რომ მიეღოთ 60%. შესაბამისად, სადღაც 100-დან 150-კაცამდე უნდა მისულიყო, რომ მიეღოთ ნაციონალების 20%. ანუ მათ პროცენტები წინასწარ დათვალეს, რამდენი ამომრჩეველი უნდა იყოს თითო უბანზე. რა თქმა უნდა, არის დიდი უბნები, სადაც მეტი ამომრჩეველი მიდის და არის გაცილებით პატარა უბნები, სადაც გულითაც რომ გინდოდეს, 250 ამომრჩეველს ვერ მიიყვან. ამიტომ საშუალო არითმეტიკიდან 250-დან 300 კაცამდეა საჭირო იმისათვის, რომ მყარად გქონდეს 60%-იანი მოგება.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ხალხი თავად მიიყვანეს არჩევნებზე?***

— რა თქმა უნდა, ამის ორგანიზება გააკეთეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საკმარისი ბერკეტები აქვს იმისათვის, რომ მონახოს ორი-სამი კაცი, დაავალოს, რომ შენ უნდა უზრუნველყო 300 კაცის მისვლა ამ კონკრეტულ უბანზე. ჩვენი თვალით ვხედავდით ამას, თუ როგორ იყო სატელეფონო რეკვები, რომ მოდით, მოდით... როგორ ხდებოდა სამარშრუტო ტაქსებით და მსუბუქი მანქანებით ადამიანების მიყვანა უბნებში და ეს ადამიანები ძალიან მშვიდად, წყნარად, ისე, რომ არც ზედმეტი ბიულეტინები იყრებოდა და არც არაფერი. ხმას აძლევდნენ, ანუ ბიულეტინების ჩაყრა და ყუთების გატაცება არ მომხდარა, მაგრამ ძალით მიყვანილი ხმები მიდოდა ცესკოში. ის ადამიანები კი, ვინც არ არიან ხელისუფლებაში და არა აქვთ იმისი ბერკეტი, რომ გამოიყენონ, ან ტრანსპორტი, ან ადმინისტრაციული რესურსი, არ ჰყავთ ადამიანები, რომლებსაც დაავალებენ, რომ შენ მიიყვანე ამომრჩეველი უბნებზე და ასე შემდეგ, ბუნებრივია, ისინი ამას ვერ გააკეთებდნენ. ეს გააკეთა იმან, ვისაც ამის რესურსი ჰქონდა და თავისთავად დაჯდა ის ციფრი, რა ციფრებიც ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. ანუ პირველი ადგილი მარგველაშვილისთვის და მეორე ადგილი ბაქრაძესთვის. შეიძლება მარგველაშვილი ისედაც გასულიყო პირველ ადგილზე, ამაში უცნაური არაფერი არ არის, მაგრამ ასეთი პროცენტით გასვლა იყო საზოგადოებისთვის მოულოდნელი და მით უმეტეს, დავით ბაქრაძის მეორე ადგილი იყო აბსოლუტურად ანომალია. მე ვიტყოდი, რომ ეს კიდევ ახალი ცოცხები იყო ამ საზოგადოებისთვის, როდესაც დღეს ვაფიქსირებთ იმას, რომ ეს ცოცხების პარტია თითქოს მეორე პოლიტიკური ძალაა. ფაქტია, რომ არსებობდა ამისი დაკვეთა დასავლეთიდან, არსებობდა ამისი გაზიარება დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან და როგორც დავინახეთ, ეს შედეგებიც დაჯდა. ეს ყველაფერი ისე კეთდებოდა, რომ ამის მტკიცებულება არ არსებობს. სანამ არ დამთავრდა არჩევნები, ამას ვერ მივხვდით. მერე, როდესაც გაანალიზება ხდება, რომ იქ ავტობუსებით მიიყვანეს, იქ სატელეფონო ზარები იყო, მანამდე ეს ძალიან ძნელი იყო, რომ დაგეფიქსირებინა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ამაზე მხოლოდ და მხოლოდ ვივარაუდოთ და ვილაპარაკოთ.

***— არსებობს რაიმე ბერკეტი, რომელსაც გაყალბების ამ მექანიზმს დავუპირისპირებთ?***

— ამის ჩაშლის და ვერშესრულების ერთადერთი ბერკეტი არის მაღალი აქტიობა. თუ იქნება ძალიან მაღალი აქტიობა, მაშინ ხელისუფლება ამ მექანიზმს ველარ გამოიყენებს, მაგრამ როგორ უნდა ვაიძულოთ საზოგადოება, რომ არჩევნებზე მივიდეს? ეს აქტიობაც ხელისუფლების ნებაზეა, მაგალითად, თუ იქნება კარგი პიარი, ისეთი, როგორიც იყო სააკაშვილის რეჟიმის წასვლის დროს, რომ იქ კადრებიც იყო გამოტანილი, რომელმაც საზოგადოება კიდევ უფრო გააღიზიანა და ქუჩაში გამოიყვანა, კარგი პროპაგანდა იყო, რომ საზოგადოების მობილიზება მომხდარიყო ამ შავი ძალის ჩამოსაშორებლად. მაშინ ეს ყველაფერი იყო, ახლა ხელისუფლებას თუ ამისი სურვილი არ ექნება, ეს პიარი აღარ იქნება. ამიტომ ეს ყველაფერი უნდა გააკეთოს კანონმა, უნდა შემოვიდეს საჯარიმო სანქციები, თუკი თეთრი ზოლი გადაკვეთე, ასლარიანი ჯარიმა არსებობს და თუ სიჩქარეს 15 კილომეტრით გადააჭარბე, ამისთვისაც ასი ლარით დაგაჯარიმებენ, რატომ არ შეიძლება აქაც ასლარიანი ჯარიმები შემოვიღოთ იმ მოქალაქეებისთვის, ვინც თავის მოქალაქეობრივ ვალს არ ასრულებს და არ მიდს არჩევნებზე. შემოვიღოთ კანონმდებლობაში ეს ასლარიანი ჯარიმები. ამ შემთხვევაში აქტიური ამომრჩეველი უკვე იქნება უბანზე, დაინტერესებული იქნება, რომ მან ასი და ორასი ლარით არ იზარალოს არჩევნების გამო, რა თქმა უნდა, თუ არ ექნება მას საპატიო მიზეზი, სხვა შემთხვევაში ის აუცილებლად უნდა იყოს დაჯარიმებული. სწორედ აი, ეს იქნება უკვე საზოგადოების ხელში ბერკეტი იმისა, რომ აი, ამ ახალი გაყალბების მეთოდით, ამ ნოუ-ჰაუთი, რომელიც არის სააკაშვილის პერიოდიდან დღემდე აპრობირებული, ეს ველარ მოხდება. ამ შემთხვევაში ბაქრაძე მეორე ადგილზე ვერ აღმოჩნდებოდა, აი, ამ მიყვანის და დარეკვის მექანიზმს რომ არ ემუშავა. ჩვენი თვალით ვნახეთ, დილის საათებში როგორ მიჰყავდათ ხალხი. დილის 7 საათზე გამოვედი სახლიდან, ფეხით მივდიოდი ოფისში და ისე მიკვირდა, გზადაგზა სამ-ოთხკაციანი მობილიზებული ჯგუფები რომ მხვდებოდა. რატომღაც ტყავის ქურთუკიანი მამაკაცები ჭარბობდნენ.

***— ამას ნაციონალებიც აკეთებდნენ?***

— მე როგორ დავამტკიცო, ვინ აკეთებდა. შუბლზე ხომ არ ეწერათ, ნაციონალები იყვნენ თუ ოცნების ხალხი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კეთდებოდა. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ეს ხელმისაწვდომი და შესაძლებელია ვისთვის? ამას აკეთებდნენ ის ადამიანები, ვისაც ამაზე ხელმისაწვდომობა ჰქონდა. ანუ რა ხდება? ხდება ის, რომ პოლიტიკის პრივატიზება მოხდა. ვინც არის პოლიტიკაში, მას პრივატიზებული აქვს ფაქტიურად ეს ბერკეტები და მხოლოდ მისთვის არის ეს შესაძლებელი. კანონიც როგორია? კანონი თანაბარ უფლებებში კი არ აყენებს ყველა ადამიანს, ყველა მონაწილეს, ყველა მოთამაშეს თანაბარ პირობებში კი არ აყენებს, არა, კანონიც ზუსტად ასეთივე მახინჯია, რომ თუ კვალიფიციური სუბიექტი ხარ, ბერკეტებიცა გაქვს, რომ ეს საშუალებები გამოიყენო, მიიყვანო იქ სამასი კაცი იქნება თუ მეტი, რომ მათ მოახდინონ მობილიზება ამომრჩევლის მისვლის და აი, სწორედ ეს არის დღეს გაყალბების მექანიზმი, რომელიც ხდება გარეთ, არჩევნებამდე, ან არჩევნების დღეს და არა საარჩევნო ყუთთან. თუნდაც იგივე ძალიან გულუბრყვილო უცხოელი დამკვირვებელი რომ შედის, ის ამ სურათს ვერ ხედავს. ამას ვერავინ ვერ ხედავს. შემდეგ ამას საზოგადოება იწვნევს ხოლმე და საზოგადოება ხდება დაზარალებული ამ გზით. ამიტომ უნდა შევეცადოთ, მივიღოთ ისეთი კანონი, სადაც ხელისუფლებას ასეთი თაღლითური მეთოდების გამოყენების საშუალება არ ექნება. თითქოს კანონიერი, მაგრამ თაღლითური. კი, ამის უფლება დანარჩენ კანდიდატებსაც ჰქონდათ, მაგრამ შესაძლებლობა არ ჰქონდათ ამისი.

***— თავიდანვე ცხადი იყო, რომ არ იქნებოდა მეორე ტური და შეკვეთა იყო პრემიერისგან, რომ მარგველაშვილს 60% უნდა აეღო. ყოველ შემთხვევაში, ბევრმა მისი ნათქვამი ასე გაიგო...***

— შეკვეთა იყო და ესეც მოხდა. სწორედ ამას ვიძახი, რომ შეკვეთები კი არ უნდა ხდებოდეს, არჩევნები უნდა ტარდებოდეს. ის 22 თუ 23 საპრეზიდენტო კანდიდატიც ანომალიაა. როდესაც ადამიანს 26 ათასი ხელმოწერა შეაქვს საარჩევნო კომისიაში და მერე ათას ხმასაც ვერ იღებს, აქაც აუცილებლად უნდა იყოს ჯარიმები, რომ ხალხი ასე არ დაიქსაქსოს. შეიტან 26 ათას ხმას?! მინიმუმ 26 ათასი ხმა უნდა აიღო. თუ ვერ აიღებ, მაშინ უნდა ეკისრებოდეს 5-10 ათასლარიანი ჯარიმები. მაშინ აი, ეს დოლი ამ ადამიანებისა, რომ ყველას, ვისაც მოუნდება, ამ სიაში რომ ხვდება, ასე აღარ იქნება. თუ 26 ათასი მხარდამჭერიც არ გყავს, მაშინ რა გინდა არჩევნებში, რატომ ღებულობ მონაწილეობას?! როგორ შეიძლება მუდმივად ასეთი დაუსრულებელი სია იყოს პრეზიდენტობის მსურველების, სასაცილო ხომ არ უნდა გახდეს არჩევნები. აქაც აუცილებლად უნდა იყოს საჯარიმო სანქციები. ასევე არჩევნებზე არმისვლის შემთხვევაში, ეს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაშია და დღეს ამისი ამუშავება საქართველოში, ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ქალბატონო ნანა, რას ველოდებით სამომავლოდ? დავით ბაქრაძე დღეს ამაყად აცხადებს, რომ ნაციონალები მეორე ძალაა ქვეყანაში, რომ ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა მას მისცა ხმა...***

— რას ველოდები და საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს, რა მეთოდით გახდა ის მეორე ძალა. საზოგადოებამ ჩემ გარეშეც ძალიან კარგად იცის, როგორი მეთოდებით მოხდა ეს, რომ ეს იყო ხელისუფლების და დასავლეთის დაკვეთა, მაგრამ ამისი აღსრულება რა მეთოდით მოხდა, ესეც ძალიან კარგად უნდა იცოდეს საზოგადოებამ. იმიტომ, რომ ეს არის შეურაცხყოფა ქართველი ხალხის, ეს არის ცინიზმი, ეს არის ღირსების შემლახავი მოპყრობა, როდესაც შენ ეუბნევი, რომ იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ცოცხებით აწამებდა ციხეებში პატიმრებს, რომელიც უკანონოდ ქუჩებში ხოცავდა ახალგაზრდა ბიჭებს, სასამართლოს და განაჩენების გარეშე. რომელიც ასე ართმევდა ქონებას, ღირსებას, ოჯახებს უნგრევდა ადამიანებს და ეს მეორე ძალაა ქვეყანაში, ეს არის საზოგადოების შეურაცხყოფა. ამის უფლება ჩვენ არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ასეთი შეურაცხყოფა ხელისუფლებამ არ უნდა მოგვაყენოს, ისე, როგორც ამ არჩევნებით მოგვაყენეს.

***— შედეგებს აპროტესტებს ნინო ბურჯანაძე, ამას ექნება რაიმე შედეგი?***

— დღეს პროტესტს ნაკლებად ექნება შედეგი დღეს ქმედება და ლობირებაა საჭირო. ჩვენ ყველამ კარგად დავინახეთ, რომ ადამიანების ავტობუსებით მიზიდვით, ტელეფონებზე რეკვით, აი, ამ მეთოდებით მოხდა ამ შედეგის დადგომა. ამიტომ მექანიზმებია საჭირო და ამისთვის არის ხალხის მობილიზება საჭირო, რომ ეს მექანიზმები ველარ გამოიყენონ. ეს ბერკეტები უნდა ჩამოვართვათ ხელისუფლებას. საჭიროა ფართო და მასშტაბური არჩევნები, რომელსაც უზრუნველყოფს კანონი.

# ვინ ამახინჯებს მეტეხის პლატოს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სპეციალური ბრიფინგი გამართეს, რომელზეც მეტეხის პლატოზე მიმდინარე მშენებლობები გააპროტესტეს. მათი განცხადებით, ეს მშენებლობები დედაქალაქის ისტორიული უბნის იერსახეს გამოუსწორებლად ამახინჯებს. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს, სადაც გამოხატეს შეშფოთება იმ ინტენსიური სამშენებლო პროცესის გამო, რომელსაც ადგილი აქვს დედაქალაქში, კერძოდ, მეტეხის პლატოზე. „ვახტანგ გორგასლის ძეგლის სიახლოვეს მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც თავისი არსით ამახინჯებს ძველი თბილისის ისტორიულ იერ-სახეს და ფაქტობრივად, გამოუსწორებელ შედეგამდე მიყავს და ცვლის მეტეხის პლატოს ტრადიციულ განაშენიანებას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოვუწოდებთ ყველას, ვინც პასუხისმგებელია დედაქალაქის ისტორიული უბნების იერ-სახის შენარჩუნებაზე – თბილისის მერიას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, არქიტექტორებს, კულტუროლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ურბანისტებს, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება მეტეხის პლატოზე მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გაეცნენ ხელოვნებათმცოდნეების მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაუშვებელია მაღალსართულიანი ნაგებობის აშენება მეტეხის პლატოზე, რომელიც კონტრასტული იქნება მეტეხთან და იქ აღმართული სახლების რიგთან. მეტეხის პლატო არის თბილისის სავიზიტო ბარათი, ლანდშაფტის დაცვის ზონა და აქ დაუშვებელია უხეში ჩარევა, – ასეთია კულტუროლოგთა მოსაზრება, რომელსაც ორგანიზაცია იზიარებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გაეცნენ ამ მშენებლობასთან დაკავშირებულ ისტორიას და გამოარკვიეს შემდეგი: ნაგებობა ამ ეტაპზე, ხუთსართულიანია, ტროტუარის ნიშნულს ქვემოთ არის ორი სართული, ხოლო ზემოთ – სამი სართული. მშენებლობა მიმდინარეობს ჯორბენაძის 11/13-ში, რომელიც ადრე რუისის ქუჩის სახელით იყო ცნობილი. მშენებლობას აწარმოებს და დამკვეთი არის ბორის პაიჭაძე (შპს. „მეტეხის წარბი“) და არსებობს მშენებლობის ნებართვაც. გაირკვა ისიც, რომ ამ მშენებლობის თანამესაკუთრე არის, როგორც ჩანს, უკვე ბიზნეს-სექტორში გადასული, დიდუბის ყოფილი გამგებელი და ქალაქის საკრებულოს ყოფილი წევრი გიორგი ჩაჩანიძე, რასაც არც ის უარყოფს მედიასთან საუბარში.

გამოირკვა, რომ 2012 წლის მარტში, მერიის არქიტექტურულმა სამსახურმა გასცა ნებართვა და აღნიშნული სარეკრეაციო ზონა (სადაც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია) საცხოვრებელ ზონად გადააქცია. სწორედ ამის შემდეგ გაჩაღდა მეტეხის პლატოსთან შეუსაბამო მაღალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა.



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო საკითხთან დაკავშირებით აცხადებს, რომ თბილისის ძეგლებზე მეთვალყურეობა თბილისის მერიის კომპეტენციაა და ეს ძეგლები მათ კონტროლქვეშ ჯერ არ გადაცემულა. ამდენად, საკითხთან დაკავშირებულ დეტალებსა და ნიუანსებზე პოზიციას ვერ გამოხატავენ.

სამწუხაროდ, იკვეთება, რომ რაც მეტეხის პლატოზე ხდება, არავის მოსწონს, მაგრამ პასუხისმგებელი არავინაა, – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო თბილისის მერიისკენ იშვერს ხელს, მერია დუმს, ან მშრალი, მოკლე ოფიციალური კომენტარით იფარგლება, ამასობაში კი დრო გადის, საეჭვო „სასწრაფო წესით“ მშენებლობის ნებართვის მიმღები გაბიზნესმენებული მოხელეები და პოლიტიკოსები თავიანთ საქმეს დაჩქარებული ტემპებით ასრულებენ, ხოლო შედეგად, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ მეტეხი პლატოს იმ მნიშვნელოვან და უნიკალურ ურბანულ განაშენიანებას, რომელმაც 21-ე საუკუნემდე მოაღწია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მეტეხის პლატოზე მიმდინარე განაშენიანების პროცესთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში მრგვალი მაგიდის გამართვას ვგეგმავთ, სადაც მოვიწვევთ ყველა პასუხისმგებელ უწყებას და საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას“, – ნათქვამია „ახალგაზრდა ადვოკატების განცხადებაში“.

ფორ.გე

# ახალაიას ადვოკატ გოგა ონიანს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანებას“ მიმართა პატიმარმა მამუკა ტოლიაშვილმა, რომელიც გახლავთ მსჯავრდებული მკვლელობისა და იარაღის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ბრალდებით.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ პატიმარ მამუკა ტოლიაშვილის საქმე შეისწავლა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეთითხნილია, რადგან მას არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია, არც ვინმე მოუკლავს და არც იარაღი წაურთმევია ვინმესთვის.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, არსებობს ეჭვი იმისა, რომ ეს საქმე მიდის ონიანამდე, რომელიც დღეს უფლებადამცველია, ხოლო წინა პერიოდში, მიხეილ სააკაშვილის დროს, ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანს წარმოადგენდა.

***— ბატონო ნიკოლოზ, ტოლიაშვილმა პოლიციას წაართვა იარაღი?***

— პოლიცელისთვის მართლსაწინააღმდეგოდ იარაღის წართმევისთვის და მკვლელობისთვის არის მსჯავრდებული, მაგრამ არც ერთი ეს შემთხვევა მას არ ჩაუდენია.

***— არც მკვლელობა და არც იარაღის წართმევა?***

— ამ პიროვნებას არც იარაღი წაურთმევია პოლიციელისთვის და არც მკვლელობა ჩაუდენია. უბრალოდ, ეს ყველაფერი შეთითხნეს. რა უსწრებდა წინ ამ ყველაფერს? მამუკა ტოლიაშვილი ცხოვრობს სპორტის სასახლესთან. სხვათა შორის, ის პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანია. გენერალურ პროკურატურაში მუშაობდა და სააკაშვილის სისტემიდან წამოვიდა იმიტომ, რომ მას პროტესტი გამოუცხადა.

***— ვის ინტერესში შედიოდა მის მიმართ საქმის შეთხზვა?***

— მამუკა ტოლიაშვილი 7 წლის წინ დააპატიმრეს. წარმოიდგინეთ, ადამიანი დგას თავის კორპუსთან და უცებ მაღალი სიჩქარით მომავალი მანქანა გამოვარდა. ამ მანქანაზე იჯდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია დონაძე. მაღალი სიჩქარით რომ გამოვარდა, ტოლიაშვილმა უთხრა, რა არის, ხალხი უნდა გაიტანო, რატომ გამორბიხარ ასე ჩქარაო. ამაზე შეკამათება მოხდა. დონაძეს იარაღი ჰქონდა და ის იარაღი გადმოიღო. არ ვიცი, რისთვის, შესაშინებლად თუ მამუკა ტოლიაშვილის მოსაკლავად. თუმცა, ფაქტია, რომ იარაღი დონაძემ გადმოიღო, მაღალჩინოსანი იყო და იარაღს ატარებდა. შემდგომში, როგორც ირკვევა, გია დონაძე არის გოგა ონიანის ახლობელი, ბავშვობის მეგობარი. ის მიშას დროს იყო ერთ-ერთი მაღალჩინოსანი. ინციდენტის დროს ხალხი მოგროვდა, ატყდა ჩოჩქოლი. იფიქრეს, დონაძემ იარაღი არ ესროლოს ტოლიაშვილსო და უბნიდან მისულმა ვიღაცამ წაართვა აღნიშნული იარაღი. იარაღი რომ გამოართვეს, დონაძე გაიქცა. შემდეგ ის იარაღი დონაძეს საპატრულო პოლიციამ დაუბრუნა, რომელიც შემთხვევის ადგილზე მივიდა. შემდეგ ამ საქმეზე მამუკა ტოლიაშვილი დაიბარეს ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში დაკითხვაზე და უთხრეს, აღიარე, რომ ვიღაცეებთან ერთად, ჯგუფურად, პოლიციელისთვის იარაღის წართმევა გინდოდა და შეურაცხყოფა მიაყენეო. ტოლიაშვილმა არ აღიარა. შემდეგ განყოფილებაში შევიდა გოგა ონიანი, რომელიც იყო მაშინ ვაკე-საბურთალოს განყოფილების უფროსი და ტოლიაშვილს უთხრა, შენ ვინ ხარ, მე მოვახდინე რევოლუცია. აქ როგორ ბედავ, რომ რასაც გეუბნებიან, იმას არ წერო. ონიანმა ტოლიაშვილს დედა აგინა და შეურაცხყოფა მიაყენა. შენ რამე ხომ არ გეშლებაო და გოგა ონიანმა უშვერი სიტყვებით მიმართა მამუკა ტოლიაშვილს. შემდეგ იქ მამუკა ტოლიაშვილის ძმა მივიდა. იმ დროს ისიც პოლიციელი იყო. გოგა ონიანმა ისიც ლანძღა და დაემუქრა, ნახავთ, ამის შემდეგ რა მოგივათო. ორი კვირის შემდეგ, ტოლიაშვილის სახლთან მოხდა გარკვეული ინციდენტი. მამუკა ტოლიაშვილს, რომელი ამხანაგობის თავმჯდომარე იყო, ადრე ნასამართლევმა ხერგიანმა დაუწყო გინება, შე ნაძაღლარო, შენ როგორ ხარ ამხანაგობის თავმჯდომარეო და ბასრი დანით დაემუქრა მამუკა ტოლიაშვილს. ვინაიდან სახეზე იყო საფრთხე, ვიღაცამ ჩამოიტანა სანადირო თოფი და სანადირო თოფის მეშვეობით ცდილობდა ეს ადამიანები მოეგერიებინა. ტოლიაშვილმა სანადირო თოფი ჩაარტყა მოძალადეს და ერთ-ერთ თავდამსხმელს ყური მოაჭამა.

***— ვინ მოაჭამა?***

— ტოლიაშვილმა. ხერგიანმა თოფი ესროლა და დაჭრა ტოლიაშვილი. ტოლიაშვილს დაჭრის შემდეგ, თავში კონდახს ურტყამდნენ. ამ მომენტში შემთხვევით მოხდა გასროლა, ხერგიანს იარაღი გაუვარდა და ბიძაშვილი ხერგიანი მოკლა, რომელიც ასევე იქ იმყოფებოდა. მივიდა პოლიცია, ეს ორი ადამიანი საავადმყოფოში წაიყვანა. სანამ საავადმყოფოში წაიყვანდნენ, ხერგიანმა ცოტა ხანი იცოცხლა. საქმე აღიძრა ტოლიშვილისა და ჯერ კიდევ ცოცხალი ხერგიანის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე. ანუ თავიდან ამ საქმეს სულ სხვა კვალიფიკაცია მიეცა. ეს საქმე ჯერ ვაკე-საბურთალოს რაიონის შს განყოფილებას დაეწერა, ხოლო შემდეგ გადავიდა ქალაქის მთავარ სამმართველოში, სადაც ამ დროისთვის გადაყვანილი იყო სამუშაოდ გოგა ონიანი. თავიდან ის ხომ იყო ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში, შემდეგ ქალაქის მთავარ სამმართველოში გადავიდა. გოგა ონიანმა რომ დაინახა, მოცემულ საქმეში ფიგურირებს მამუკა ტოლიაშვილი, კვალიფიკაცია შეუცვალა და აღნიშნული მკვლელობა შეაწმინდეს ამ კაცს, რომელიც აქეთ დაჭრეს, საავადმყოფოში იწვა და შემდეგ გადაიყვანეს ციხეში. იმისათვის, რომ ტოლიაშვილი პასუხისგებაში მიეცათ, იარაღი გააქრეს, ანუ ის თოფი, რომელზეც მოწმეებმა მიუთითეს, არ არის ამოღებული. შემთხვევის ადგილი არ დათვალიერდა. ის იარაღი, რომლითაც ხერგიანმა თავისი ბიძაშვილი ხერგიანი მოკლა, არ არის საქმეში. იარაღი არ იქნა ამოღებული, რადგან მასზე იქნებოდა კვალი — თითის ანაბეჭდები და დადგინდებოდა, ვინ გაისროლა.



***— ანუ ნივთმტკიცება არ არსებობს?***

— დიახ, შემთხვევის ადგილიდან არ იქნა ამოღებული იარაღი. საქმეში არ არსებობს დანაშაულის იარაღი.

***— აბა, რის საფუძველზე წაუყენეს ბრალდება.***

— შარვალს, რომელიც ეცვა ტოლიაშვილს, დაბლა ტოტი ჩამოაჭრეს და გაანადგურეს, რომ არ დაფიქსირებულიყო ტოლიაშვილის დაჭრის ფაქტი. ტოლიაშვილს და გარდაცვლილ ხერგიანს ექსპერტიზა პროცესუალური დარღვევებით ჩაუტარდა. მოწმეებზე მოხდა ზეწოლა. სამივე მოწმე ადასტურებს, ჩვენება იმის გამო მივეცით, რომ ჩვენზე ზეწოლა განხორციელდაო. ჩვენება აქვს მიცემული ხერგიანს და იძახის, მისი ბიძაშვილი ხერგიანი ტოლიაშვილმა მოკლაო. მერე ხერგიანმა თქვა, ეს მე არ დამიწერიაო, ანუ მთელი რიგი დარღვევებია.

## „სამწუხაროა, რომ ორ რუს დელეგატს არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მისიაში“

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის შეფასებით 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები არის მნიშვნელოვანი მიღწევა ქვეყნისთვის და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის.

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა მერიტელ მატეიმ სასტუმრო „შერატონში“ განაცხადა, საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებმა კვლავ გამოავლინეს პოლიტიკური სიმწიფე საპრეზიდენტო არჩევნებში მშვიდ და ინკლუზიურ გარემოში, რაც გარკვეულწილად, საარჩევნო ადმინისტრაციის დამსახურებაა.

„ეს არჩევნები არის მნიშვნელოვანი მიღწევა ქვეყნისთვის და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. გარდა ამისა ვფიქრობთ, სამწუხაროა, რომ ორ რუს დელეგატს არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო მისიაში“, — აღნიშნა მერიტელ მატეიმ. საპარლამენტო ასამბლეა გამოთქვამს მზადყოფნას, დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების კონსოლიდაციისათვის.

**მედიანიუსი**

# ბაჩო ახალაიას 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს

შორენა კოწოწაშვილი

ბაჩო ახალაიას მიმართ მიმდინარე სასამართლო პროცესი, რომელიც თავის მხრივ, თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ წარდგენილ რამდენიმე საკმაოდ მძიმე ბრალდებას განიხილავდა, ე.წ. ციხის ბუნტის ეპიზოდში დასრულდა.

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას, რევაზ ჭარბაძე და დავით ჭაკუას მიმართ განაჩენი გამოაცხადა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქმე ეხება 2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების პირველ, მეხუთე და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს. საქმეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმდროინდელი ხელმძღვანელობის გარდა, ფიგურირებს რამდენიმე კრიმინალური ავტორიტეტი და ე.წ. კანონიერი ქურდი, რომლებიც წინა ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ტერორისა და დამცირების ქვეშ იმყოფებოდნენ.

ბაჩო ახალაიას ბრალი სს კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ედებოდა, რაც ბაჩანა ახალაიას და მისი თანამოაზრეების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

ე.წ. ციხის ბუნტი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო უფლებადამცველების და ოპოზიციური პარტიების განხილვის საგანი. უფლებადამცველები და საქმეში ბრალდებულთა ადვოკატები მაშინ ამტკიცებდნენ, რომ ნიკოლოზ მახარაძეს, ავალიანს, ვიბლიანს და სხვებს ბუნტის მოწყობა ე.წ. რეზბალნიცაზე არ უფიქრიათ და ყველაფერი თავად ახალიას მხრიდან წამოვიდა, რომელიც ერთ-ერთი პატიმარს ფიზიკურად შეეხო.

სხვათა შორის, ციხის ბუნტის საქმეში მონაწილეობდა მამარდაშვილიც, რომლის ფარული ჩანაწერებიც გავრცელდა და რომელიც რიგ გახმაურებულ საქმეებზე ვინმე „მასტერასთან“ იგივე გია დგებუაძესთან საუბრობდა.

აღსანიშნავია, რომ თავად ციხის ბუნტის საქმის განხილვა ნაციონალების მმართველობის პერიოდში საკმაოდ კარგად იყო შეფუთული პოლიტიკური ინტერესებით. პროცესი მედიისთვის დახურული იყო, ხოლო დღევანდელი ბრალდებულები კი თავის ჩვენებებში, რომელიც სასამართლო გამოძიების ეტაპზე მისცეს, თავს არათუ დამნაშავედ, პირიქით, ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს ყველაფერი კანონის ფარგლებში და მართლზომიერად გაკეთდა.

ბაჩანა ახალაია, ბუნებრივია, თავს დამნაშავედ არც დღეს გრძნობს და თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს. მართალია, სასამართლოს განაჩენს უკანონოდ მიიჩნევს, მაგრამ ფეისბუქის გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში თავდაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ მიუხედავად რეპრესიებისა, ამაყია საქართველოს დეკრიმინალიზაციაში რომ მიიღო მონაწილეობა.



სასამართლოს მიერ ახალაიას და სხვა ბრალდებულებისთვის განაჩენის გამოტანის შემდგომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ერთ-ერთი ადვოკატი გოგა ონიანი მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძისა და მთავარი პროკურორის მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილის შეხვედრაზე ალაპარაკდა. ადვოკატის თქმით, მოსამართლემ აღნიშნული განაჩენი სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მიიღო.

— ნაცვლიშვილის სიტყვებია, ბაჩო 2-3 წელი როგორ არ უნდა იჯდესო. ცუდია, რომ პროკურატურის მოთხოვნებს ასეთი სიზუსტით აღასრულებენ. ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ სასამართლო დღეს თავისუფალი არაა და კიდევ დიდი ხანი დასჭირდება ისეთი ხელისუფლების მოსასვლელად, რომელიც სასამართლოს გაათავისუფლებს, — განაცხადა ადვოკატმა ონიანმა. მისი თქმით, ახალაიას დაცვის მხარე სასამართლოს განაჩენს სააპელაციო წესით აუცილებლად გაასაჩივრებს კანონით დადგენილ ვადაში.

ახალაიას ოჯახის წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად განაჩენის გამოცხადების შემდეგ ისე დატოვეს, რომ ბაჩო ახალაიას განაჩენისთვის არც კი მოუსმენიათ. ახალაიას ადვოკატი რომეო საჯაია კი, მოსამართლის გადაწყვეტილებით სასამართლო დარბაზიდან გააძევეს.

განაჩენის გამოცხადებისას სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად თავად მსჯავრდებულმა ბაჩო ახალაიამაც დატოვა.

რაც შეეხება თავად ბაჩო ახალაიას განცხადებას, რომელიც სოციალური ქსელით გავრცელდა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელსაც აღნიშნული განაჩენის პარალელურად გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ბრალი კიდევ დაუმძიმდა და ერთი ბრალდება მიემატა, აცხადებს: „დღეს, სამწუხაროდ, დადასტურდა, რომ ხელისუფლების გაცხადებული პოზიცია, თითქოს ეცდებოდა სასამართლო სახელისუფლებო წნეხისგან გაეთავისუფლებინა და დამოუკიდებლობის საშუალება მისცემდა, იყო ფარსი და მეტი არაფერი. ჩვენთვის ცნობილია, რომ მთავარი პროკურორის მოადგილე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს შეხვდა და დაავალა ჩემთვის 2-3 წლიანი სასჯელი გამოეტანა, რაც მოსამართლემ ზედმიწევნით შეასრულა. მიუხედავად უპრეცედენტო რეპრესიებისა, მე ამაყი ვარ იმ წვლილით, რაც შევიტანე საქართველოს დეკრიმინალიზაციაში, რაც ქართველი ხალხის ურყევი ნებაა. დღესაც ვთვლი, რომ ქვეყანაში, რომელსაც წინსვლის პრეტენზია აქვს, არ შეიძლება ხელისუფლება კრიმინალთან და კანონიერ ქურდებთან იყოს შერწყმული. ბრძოლა გრძელდება, საქართველო აუცილებლად გახდება წარმატებული, უსაფრთხო და კრიმინალისგან თავისუფალი ქვეყანა“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინვე ბაჩო ახალაიას და სხვა ბრალდებულების მიმართ გამოცხადებულ განაჩენთან ერთად ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა.

— ბრალდებულებს ბრალად ედებოდათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით, დაზარალებული პირადი ღირსების შეურაცხყოფით, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად ორი და მეტი თავისუფლება შეზღუდული პირის დამცირება. არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მათ ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს. გარდა ამისა, ბაჩანა ახალაიას და მეგის ქარდავას ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებოდათ. რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. საქმის არსებითად განხილვისას ბაჩანა ახალაიამ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. დაცვის მხარემ გამონაკლისი უფლებით ისარგებლა და პროცესზე და დაცვის მხარის 3 მოწმე და ბრალდებული ბაჩანა ახალაია დაიკითხა. რაც შეეხება ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, სასამართლო სხდომაზე დაცვისა და ბრალდების მხარეები შეთანხმდნენ ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე და ამ მტკიცებულებებით, მათ შორის ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და შესაბამისად მათი სხდომაზე ზეპირი გამოკვლევა არ მომხდარა. მოცემულ სისისხლის სამართლის საქმეზე რვა სასამართლო სხდომა გაიმართა.

სასამართლომ ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, დავით ჭაკუა და რევაზ ჭარბაძე დამნაშავედ ცნო და სს კოდექსის 144-ე მუხლით. თითოეულ მათგანს ძირითადი სასჯელის სახე დაზომად თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით განუსაზღვრა. მათვე 3 წლის ვადით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობების დაკავების უფლება ჩამოერთვათ. 2012 წლის ამნისტიის კანონით მათ სასჯელის ერთი მეოთხედი მოაკლდათ და ყველა ბრალდებულს სასჯელის ზომად შეეფარდათ 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა კი 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვათ. ასევე ბაჩანა ახალაიას დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ ბრალდებულებს კი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ განესაზღვრათ ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ახალაიას მიმართ განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში გასაჩივრდეს. იმ მსჯავრდებულების მიმართ კი, რომლებიც გასამართლებულნი იქნენ დაუსწრებლად, მათი დაპატიმრებიდან სათანადო ორგანოებში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხდებიდან ერთი თვის ვადაში, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე, — ნათქვამია განცხადებაში.

# გელა კვაჭანტირაძე: „არჩევნების შედეგები ეჭვს არ იწვევს“

თამარ ნინიძე

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს „ახალ თაობასთან“ ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე აფასებს.

***— როგორ შეაფასებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს?***

— უბნების 90-%-ზე მეტი დათვლილია, აშკარად გამოკვეთილია გამარჯვებულიც და საპრიზო ადგილებზე მყოფი კანდიდატებიც. როგორც მოსალოდნელი იყო, მარგველაშვილმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, 60%-ზე მეტი მიიღო, პირველად მოხდა, როცა ჩატარდა ნამდვილად დემოკრატიული და ნორმალური არჩევნები, პირველად მოხდა, რომ პროგნოზირებადი არჩევნები იყო და ეგზიტპოლებიც კი დაემთხვა ოფიციალურ შედეგებს. ეს კი ყოველგვარ ეჭვს გვიფანტავს, რომ ვინმე ეცადა გაყალბებას. არჩევნების შედეგები ეჭვს არ იწვევს და შეგვიძლია გამარჯვებულს მივულოცოთ.



წინასაარჩევნო პერიოდი შედარებით გასულ არჩევნებთან მშვიდად მიმდინარეობდა, დარღვევები მინიმალური იყო, მთლად სასიამოვნო არ იყო, რომ ზოგიერთი მინისტრი ხშირად ჩანდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. თუმცა ფორმალურად კანონის დარღვევა არც ეს იყო, მაგრამ ეს მაინც პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაა, ეს მთავარი ფაქტორი არ არის, მთავარია, რომ არჩევნები ჩატარდა მაღალ დონეზე, ევროპული სტანდარტების დაცვით და ამას ადასტურებენ როგორც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, ასევე ქართველი დამკვირვებლებიც. მიუხედავად იმ არაპოპულარული ნაბიჯებისა, რაც იდგმებოდა კოალიციის მხრიდან, მხედველობაში მაქვს კოჰაბიტაცია ნაცმოძრაობასთან და ამის გამო კოალიციამ გარკვეული ქულები დაკარგა, გამოჩნდა, რომ მაინც საზოგადოება მხარს უჭერს ივანიშვილს და კოალიციას და, შესაბამისად, მარგველაშვილსაც.

***— წინასაარჩევნოდ სარეკლამო რგოლები, რომელიც გადიოდა ტელევიზიით, იქნებ შეაფასოთ?***

— გამარჯვებული კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიას რაც შეეხება, ის იყო დაგეგმილი კვალიფიციურად, სწორად, როცა იგრძნეს, რომ კოჰაბიტაცია ქულებს აკარგვინებდათ, მაშინვე გაჩნდა ლოზუნგი, 28 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება. ეს იყო ელექტორალური ბაზრისთვის დროული და სწორი გზავნილი, რაც შეეხება ქალბატონი ბურჯანაძის წინასაარჩევნო კამპანიას, ეს იყო სწორად აგებული და გათვლილი იყო იმ ელექტორატზე, რომელიც უკმაყოფილო იყო ამ კოჰაბიტაციით და მისი მთავარი ლოზუნგი იყო „სამართლიანობა ყველგან და ყოველთვის“; რაც შეეხება ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანიას, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა ნაცმოძრაობა, სხვა გზა არც ჰქონდა, ეს იყო კონსტრუქციული წინასაარჩევნო კამპანია, ზომიერ და ინტელექტუალურ ელექტორატზე გათვლილი. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა პროდასავლურ კურსს, მხედველობაში მყავს მმართველი კოალიციის კანდიდატურა, ბაქრაძის მეორე ადგილიც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ნაცმოძრაობის მიმართ სერიოზული პრეტენზიებისა, პროდასავლურმა ორიენტაციამ თავისი გააკეთა და, როგორც ჩანს, რადიკალურ პროდასავლურ კურსს ჩვენს საარჩევნო ბაზარზე გასავალი მაინც აქვს. ამ არჩევნების მთავარი გზავნილი ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობამ უარი უთხრა რუსეთის ოკუპაციას და მის პოლიტიკას საქართველოში. რუსეთმა დაკარგა საქართველო როგორც გავლენის სფერო, წინ გვაქვს ასევე ადგილობრივი არჩევნები, მერის არჩევნები, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე იქნება და დასრულდება ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის პროცესი.

***— ისევ საარჩევნო რგოლებს მინდა დავუბრუნდეთ, კობა დავითაშვილის საარჩევნო რგოლში გამოტანილი იყო სააკაშვილის ცნობილი გამონათქვამები — ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში, სააკაშვილი და მისი გუნდი ციხეში, იგივე პათოსი იყო ბურჯანაძის რგოლებში, გიორგი თარგამაძის საარჩევნო რგოლი შეიცვალა მას მერე, როცა ივანიშვილმა მას საჯაროდ მოღალატე უწოდა და უფრო აგრესიული გახდა, ანუ უარესსა და ცუდს შორის არჩევანს სჯობს ჩვენ დაგვიჭიროთ მხარიაო, ასევე იქნებ ჯავახიძის საარჩევნო რგოლი შეაფასოთ?***

— ბურჯანაძის და დავითაშვილის ლოზუნგებს რაც შეეხება, იცით, რომ მრისხანება და შურისძიება საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერი იყო, ამ ამომრჩევლებზე გათვალეს, როცა მწვავე ლოზუნგებს ამბობდნენ, თუმცა ქართველმა ამომრჩეველმა, რომელიც ბრძენია, გაუძლო ემოციურ სტრესს და წყალში არ ჩაყარა მთელი მონაპოვარი და პერსპექტივა, რომელიც გაჩნდა ოცნების გამარჯვების შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე. არ იმუშავა იმ ლოზუნგებმა, რაც ჰქონდათ დავითაშვილს და ბურჯანაძეს. დასაქმებაზე ნაკლებს ლაპარაკობდნენ კანდიდატები, თუმცა საუბრობდნენ სამართლიანობის აღდგენაზე. თარგამაძეს რაც შეეხება, როცა კანდიდატი იღებს ერთ ან ორ პროცენტს, იქ უკვე საზოგადოებისთვის საინტერესო არ არის, ის რას ფიქრობს, მის მიერ განვლილი გზა უფრო გადამწყვეტია საზოგადოებაში, ვიდრე წინასაარჩევნო კამპანიაში რა ლოზუნგებს წამოწევს წინ. სერგო ჯავახიძის რგოლები არ მომეწონა არც მარკეტინგული თვალსაზრისით და არც დიზაინით.

***— ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ხმებს დაიცავს. როგორ გესახებათ ამის გაკეთება იმ ფონზე, როცა ეს იყო ძალიან მშვიდი საარჩევნო პროცესი, სადაც დარღვევები პრაქტიკულად უმნიშვნელოდ დაფიქსირდა? როგორ დაარწმუნებს თავის ამომრჩეველს, რომ ქუჩაში გამოვიდეს და ხმები დაიცვას?***

— ხმების დაცვას მაშინ აქვს აზრი, როცა ხმებს გართმევენ და გედავებიან. არჩევნები სამართლიანად გაიმართა და ეს მთელმა საზოგადოებამ დაინახა, ყველამ ნახა, რომ არავის არავისთვის ხმები არ წაურთმევია, საფუძველგამოცლილია განცხადება ხმების დაცვაზე და ბრძოლაზე. თუმცა ეს ალბათ გარკვეული ტრიუკია, არავის უყვარს დამარცხების აღიარება, ბაქრაძემ მიულოცა გამარჯვება მარგველაშვილს.

***— მილოცვის ეს ტრადიცია, თუ გახსოვთ, ალასანიამ დაამკვიდრა, მერის არჩევნებზე უგულავას მიულოცა გამარჯვება, მაშინ ამის გამო ალასანია გააკრიტიკეს, მაგრამ როგორც ჩანს, საარჩევნო პროცესის ცივილიზებული ფორმებისკენ მივდივართ?***

— მნიშვნელოვანი საკითხია, როცა სხვა ქვეყნებში ნორმალურად ტარდება არჩევნები, იქ დამკვიდრებულია მილოცვა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებულიც და დამარცხებულიც პატივს სცემენ ქვეყნის სტაბილურობას, უმრავლესობის აზრს. ეს ნორმალური ტრადიციაა და მაღალი პოლიტიკური კულტურის მანიშნებელია, ეს გააკეთა სწორედ ალასანიამ. შურისძიებაზე მაღლა უნდა დავდგეთ და შევძლოთ ცივილიზებული წესების დამკვიდრება.

***— ბოკერიამ თითქოსდა მუქარანარევი განცხადება გააკეთა, ხუთი წლის შემდეგ შევხვდებით არჩევნებზეო. როგორი იქნება ნაცმოძრაობა ხუთი წლის შემდეგ, იქნება ტრანსფორმირებული, გაკეთილშობილებული თუ ისევ აგრესიული დარჩება?***

— ყველა პოლიტიკური პარტია იბრძვის ძალაუფლებისთვის, ეს მისი თავისებურებაა, ბოკერიას განცხადებაში საგანგაშო არაფერია, ეს ბუნებრივი განცხადება იყო. ზოგმა ეს შეიძლება მუქარად აღიქვას გამომდინარე იქიდან, თუ როგორ იქცეოდა ნაცმოძრაობა წლების განმავლობაში. ხუთი წლის მერე როგორი იქნება ნაცმოძრაობა, რთულია ამის თქმა, მეორე ადგილზე გავიდნენ და დააფიქსირეს, რომ არის ერთადერთი ძლიერი ოპოზიციური ძალაა, თუმცა არა მგონია საზოგადოებას მოკლე მეხსიერება ჰქონდეს და აგრესიის შემთხვევაში მათი ქმედებები საზოგადოებას არ დაავიწყდება. თუ სწორ დასკვნებს არ გამოიტანენ, თვითგანადგურებისთვის იქნებიან განწირული. ამათ იმის იმედი აქვთ, რომ ახალი ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყნის მართვას და ხალხის უკმაყოფილება რომ გაიზრდება, მაშინ შესთავაზებენ საკუთარ თავს ხალხს. ეს მათი შანსია, მაგრამ ახალმა რომც გაუცრუოს იმედები, საზოგადოება ძველს აღარ უბრუნდება, გამოჩნდება ახალი ძალა, რომელზეც შეიძლება ნდობა გადავიდეს. ბატონი ბიძინას გადასვლა არასამთავრობო სექტორში კარგი იქნება იმიტომ, რომ იქიდან მეტის გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის ეკონომიკური პროექტების განვითარების თვალსაზრისით. შეიძლება რამდენიმე წელიწადში ქვეყანამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს.

## რიჩარდ ნორლანდი: „ყველა პარტიას ერთობლივი და კონსტრუქციული მუშაობისკენ მოვუწოდებთ“

აშშ-ის საელჩო საქართველოს მოქალაქეებს საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას ულოცავს. როგორც აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, ეს დღე ისტორიული იყო.




„ჩვენ კიდევ ერთი ისტორიული დღის მომსწრენი გავხდით დემოკრატიული საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ მისწრაფების გზაზე. საელჩო მხარს უჭერს ეუთოსა და სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ გაწეულ სამუშაოს. ჩვენ ვეთანხმებით მათ შეფასებას, რომ საქართველოს მოსახლეობამ საარჩევნო ყუთთან თავისუფლად გამოხატა საკუთარი ნება. ეს არჩევანი კი ზუსტად აისახა იმ საარჩევნო პროცესში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს“ — აცხადებს ელჩი.

ამასთან, საელჩო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ყველა საჩივარი გამჭვირვალედ და კანონის სრული დაცვით განიხილოს, პარტიებმა კი, ითანამშრომლონ ქვეყნის სასიკეთოდ.

„საქართველოს მოსახლეობასთან ერთად მივესალმებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არჩევნების ჩატარებას, რომელიც გააგრძელებს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. ახლა, როდესაც ხალხმა საკუთარი ნება გამოხატა, მოვუწოდებთ ყველა პარტიას ერთობლივი და კონსტრუქციული მუშაობისკენ საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად. საელჩო ახალ პრეზიდენტთან, მთავრობასა და პარლამენტთან თანამშრომლობას ელის, რათა გააღრმავოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და გააგრძელოს ქართველი ხალხისთვის ნათელი მომავლის შექმნა“ — აღნიშნავს რიჩარდ ნორლანდი.

ელჩის კომენტარი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, საქართველოში ამერიკის საელჩოს გვერდზე გავრცელდა.

**ნიუსპრესი**

## ყაზბეგში და თიანეთში ნაციონალები ჩაფლავდნენ



ცესკოს წინასწარი მონაცემებით, მცხეთა-მთიანეთის ყველა საარჩევნო ოლქში, 118 საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნებიდან“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს.

მცხეთის საარჩევნო ოლქში, ამ დროისთვის ხმები 43 საარჩევნო უბანზეა დათვლილი. ცესკოს ინფორმაციით, მცხეთაში გიორგი მარგველაშვილმა ხმების 64,5% (13 553 ხმა) მიიღო. დავით ბაქრაძემ 16,98% (3 569 ხმა), ნინო ბურჯანაძემ 10,42% (2 189 ხმა), შალვა ნათელაშვილმა 5,49% (1 153 ხმა), გიორგი თარგამაძემ 0,98% (206 ხმა), კობა დავითაშვილმა 0,1% (22 ხმა).

დუშეთის საარჩევნო ოლქის 45 უბანზე შედეგები ასეთია – გიორგი მარგველაშვილი 76, 73% (8 397 ხმა), დავით ბაქრაძე 9, 35% (1 023 ხმა), შალვა ნათელაშვილი 6, 66% (729 ხმა), ნინო ბურჯანაძე 5, 74% ( 628 ხმა), გიორგი თარგამაძე 0,42% (46 ხმა).

ყაზბეგის ოლქის 10 უბანზე შედეგები გიორგი მარგველაშვილმ ხმების 60, 03% ( 1 596 ხმა) მიიღო, ნინო ბურჯანაძემ 19, 12% ( 442 ხმა), დავით ბაქრაძემ 6, 66% ( 154 ხმა), შალვა ნათელაშვილმა 3, 55% ( 82 ხმა), კობა დავითაშვილმა 0,52% ( 12 ხმა), გიორგი თარგამაძემ 0, 39% ( 9 ხმა), ზურაბ ხარატიშვილმა 0,39% ( 9 ხმა).

თიანეთის საარჩევნო ოლქის 20 უბანზე ხმების 68,76% (4 284 ხმა) მიიღო გიორგი მარგველაშვილმა. 15,52% (967 ხმა) ნინო ბურჯანაძემ. 8,78% (547 ხმა) დავით ბაქრაძემ. 5,6% (315 ხმა) შალვა ნათელაშვილმა. 0,45% (28 ხმა) გიორგი თარგამაძემ. 0,21% (13 ხმა) სერგო ჯავახაძემ.

საქართველოს მასშტაბით, 3 406 უბანზე დათვლილი ხმების მიხედვით, გიორგი მარგველაშვილს აქვს 62,08% (943 717 ხმა), დავით ბქრაძეს 21,91% (333 074 ხმა), ნინო ბურჯანაძეს 10,05% (152 811 ხმა), შალვა ნათელაშვილს 2,88% (43 750 ხმა), გიორგი თარგამაძეს 1,05% (16 035 ხმა), კობა დავითაშვილს 0,6% (9 108 ხმა).

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

## სომხეთიდან საქართველოში დაავადებული კარტოფილი შემოიტანეს

სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოში სომხეთიდან, 31 000 კგ კარტოფილით დატვირთული ორი ავტომობილი შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანტარიული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფიტოსანიტარული პროცედურების განხორციელებისას, პირველადი შეფასებით, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მიკროორგანიზმის ღალსტონია სოლანაცეარუმ – მურა სიდამპლის და საკარანტინო მავნებლის შყნცჰყტრიუმ ენდობიოტიცუმ კარტოფილის კიბოს არსებობაზე მიუთითეს. საკარანტინო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, ნიმუში სპეციალურ ლაბორატორიაში გაიგზავნა.



ლაბორატორიულმა კვლევამ კარტოფილის ნიმუშებში, საკარანტინო მიკროორგანიზმი ღალსტონიასოლანაცეარუმ – კარტოფილის მურა სიდამპლე დაადასტურა. საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდება.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი: „ნაციონალური მოძრაობის 21%-იანი შედეგი გამარჯვების მყარი საფუძველია“

მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით, იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებისა და მისი წევრების მიმართ ზეწოლა ხორციელდებოდა, 21%-იანი შედეგი მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალისთვის კარგი საწყისია. ამასთან დაკავშირებით სააკაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წერვებთან შეხვედრისას განაცხადა.

„ჩვენ გავედით მეორე ადგილზე, მაგრამ ეს არის ისეთი მეორე ადგილი, რომელიც მყარ საფუძველს ქმნის შემდგომი ბრძოლე-



ბისთვის და ჩვენი შემდგომი გამარჯვებებისთვის. რამდენიმე თვის წინ, ყველა პროგნოზირებდა, რომ ჩვენი პარტია გაქრებოდა, გაუჩინარდებოდა, შეშინდებოდა, თუმცა მიუხედავად იმ პროპაგანდისა და იმ დიდი სიბინძურისა რომელიც ჩვენზე გადმოისხა, ქართული საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხარი ისევ დაგვიჭირა. ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, რომ ძალიან ბევრი არ მოვიდა არჩევნებზე იმის გამო, რომ ჩათვალა ამას აზრი არ ჰქონდა. ძალიან კარგი საწყისი პოზიციაა ნებისმიერი მზარდი, ოპოზიციური და მომავალზე ორიენტირებული პარტიისთვის“ — აღნიშნა სააკაშვილმა

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს და პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, ასევე, მხარდამჭერებსა და ამომრჩევლებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, ბაქრაძე არჩევნებზე 21.72%-იანი მხარდაჭერით მეორე ადგილზე გადის.

**ნიუსპრესი**

# თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილისთვის არც მოსვლა უკითხავს ვინმეს და არც წასვლას არავინ ჰკითხავს“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე თამარ ჩხეიძესთან

***– ქალბატონო თამარ, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ერთწლიან მუშაობას და ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას? ფაქტია. პრემიერი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ დაპირებების 90% უკვე შეასრულა.***

– ხელისუფლების ერთწლიან მოღვაწეობას მკვეთრად უარყოფითად ვაფასებ. რაც შეეხება დაპირებებს, საყოველთაო დაზღვევის რაღაც ელემენტები შემოიღეს, დანარჩენი შესრულებული დაპირება ნამდვილად არ მინახავს. ის, რომ პენსია 150 ლარამდე გაიზარდა, ეს ისედაც ჩადებული იყო ნაციონალების დროინდელ ბიუჯეტში. ეს დიდ მიღწევად ვერ ჩაითვლება. არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია. მარტო ის რად ღირს, „ხუდონჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით რაც ხდება. ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილი ამბობდა, რომ დიდი ჰესები არ აშენდებოდა, მაგრამ დღეს ის ამ მშენებლობის მომხრეა და მზადაა, ფაქტობრივად, ნახევარი საქართველო წყალში ჩაძიროს, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია. ჩემთვის განსაკუთრებით მიუღებელია მისი საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკა აფხაზეთისა და ე.წ. ცხინვალის რეგიონის მიმართ. ეს ასეც იყო მოსალოდნელი იმიტომ, რომ სრულიად ნათელი იყო, ადამიანს, რომელსაც არა მარტო რუსეთში აქვს ფული ნაშოვნი, შეიძლება ფული რუსეთში ჰქონდეს ადამიანს ნაშოვნი და ეს ფული პირადი მიზნებისთვის გამოიყენო, მაგრამ ივანიშვილის მხოლოდ ფული კი არ აქვს რუსეთში ნაშოვნი, არამედ მას ეს მილიარდები გამოტანებული აქვს საქართველოში ყოველგვარი პრობლემის გარეშე პოლიტიკურ პროცესებში ჩასადებად. სრულიად ნათელია, რომ ეს ადამიანი გარკვეულ შეკვეთას ასრულებს. ეს ჩემთვის ნათელი იყო და ამგვარად არავითარი დადებითი შედეგების მოლოდინი მე არ მქონია. ეს ასეც აღმოჩნდა.

***– რაზე მიანიშნებთ, ქვეყანამ ამ ერთ წელში საგარეო ვექტორი შეიცვალა?***

– რა თქმა უნდა. მკვეთრად ამაზე საუბარს ვერ ბედავენ, ლოზუნგის სახით დატოვებულია ნატო და ევროკავშირი. ხაზს ვუსვამ, ლოზუნგის სახით, მაგრამ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს ლოზუნგი ლოზუნგად დარჩეს. რეალურად რა ხდება? ხდება ის, რომ არაღიარების პოლიტიკა იგნორირებულია. სხვათა შორის, ახლახან ივანიშვილმა განაცხადა, რომ ძველად, წინა ხელისუფლების დროს, საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავარი საკითხი და პრიორიტეტი იყო არაღიარების პოლიტიკა, ახლა კი ჩვენ ეს შეცდომები შევასწორეთო. ასეთი რამ განაცხადა თვითონ პრემიერმა რამდენიმე დღის წინ. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილს ნათქვამი ჰქონდა, არ უნდა შევაწუხოთ ევროპა მაინცდამაინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპაციაზე საუბრით და ა.შ. ცხადია, ეს ვის ინტერესებშიცაა. იმიტომ, რომ რუსეთმა ვერ შეძლო, კი შეძლო ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ ოკუპაციის დაკანონება. ამჟამად მისთვის ყველაზე სასურველი მოვლენა და სასურველი პროცესი არის ამ ოკუპირებული ტერიტორიების დაკანონების მიღწევა თავად ქართული ხელისუფლების მხრივ.

***– ანუ თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ ის ამისთვის მოვიდა, რომ რუსეთს ქართული ტერიტორიების ოკუპაცია სამართლებრივად გაუფორმოს?***

– ამას როგორ აღიარებდა, მან აღიარა ერთი რამ: ჩვენ არაღიარების პოლიტიკას არ ვანიჭებთ ასეთ მნიშვნელობასო. თუკი წინა ხელისუფლების დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეს პოლიტიკა პრიორიტეტული იყო, ჩვენ ეს შეცდომა შევასწორეთო. ეს თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

***– გამოდის, არაღიარების პოლიტიკა პრემიერმა შეცდომად ჩათვალა.***

– ასე გამოვიდა. თქვა, ჩვენ სხვა აქცენტებს ვაკეთებთო. ესაა მთავარი. ის, რაც რუსეთისთვის ძალიან პრობლემატურია, ესაა მსოფლიო მასშტაბით მისი ოკუპანტის სტატუსი. ეს უბრალო სიტყვები კი არ არის, ეს რეალობაა. ეს არის ძალიან პრობლემატური და არაღიარების პოლიტიკა, რომელიც წარმატებით ტარდებოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუკი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამომჟღავნდება სიმპტომები შექმნილი სიტუაციის ანუ როგორც რუსეთის ხელისუფლება ამბობს ხოლმე ძალიან ხშირად და ხაზს უსვამს ამას, შექმნილ ახალ რეალობებთან შეგუების ტენდენცია თუ გამომჟღავნდება, ეს არის აშკარად რუსეთის ინტერესში. იმიტომ, რომ თუკი თავად სახელმწიფო, რომელსაც ტერიტორიები წაგლიჯეს, ეს სახელმწიფო ამ მოვლენასთან შეგუების ტენდენციას და სოჭის ოლიმპიადის არა ბოიკოტირებაც სწორედ ამ შეგუების ერთ-ერთი ნაწილია, ბუნებრივია, რომ მაშინ სხვა სახელმწიფოებს ვერ მოვთხოვთ, რომ ისეთი ინტენსივობით დაუჭირონ მხარი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, თუკი თავად ჩვენ ვეგუებით შექმნილ რეალობას. ამიტომ არის ძალიან საშიში და მავნებელი ეს ტენდენციები, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება ავლენს. ასევე მისი რეაქცია, რომელიც მან გამოხატა იგივე საოკუპაციო ზოლთან შემოღობვებისა და საოკუპაციო ტერიტორიის გაფართოვების პოლიტიკის მიმართ ისეთი აბსურდული განცხადებით, როდე-



საც შეეცადა რუსეთის აი, ამ მოქმედების გამართლებას, როგორის არის მოსალოდნელი ოლიმპიადა. თითქოს ქართველი გლეხები თავიანთი წართმეული ვენახებიდან და ვაშლის ბაღებიდან, რაიმე სახით საფრთხეს უქმნიდნენ ოლიმპიადას. ივანიშვილმა ასეთი აბსურდული გამართლების მოძებნაც კი მოინდომა. პრემიერი თავიდან საერთოდ არ ახდენდა რეაგირებას, სანამ უცხოურმა ორგანიზაციებმა და ოპოზიციამ არ შექმნეს ხმაური ამ შემოღობვების და საოკუპაციო ხაზის გადმოწევის თაობაზე. თორემ, თავიდან საქართველოს ხელისუფლება საერთოდ კრინტსაც არ ძრავდა ამის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, ძალიან აქტიურად აკრიტიკებდა და ლანძღავდა ჩვენს დასავლეთ ევროპელ მეგობრებს, რომლებიც გამოხატავდნენ თავიანთ უსიამოვნო დამოკიდებულებას პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებების მიმართ.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის თავზე ცალსახად გამოიკვეთა, რომ რეალურად ივანიშვილი მაინც რუსული პროექტი იყო და ნაცმოძრაობა დასავლეთისა და რუსეთის შეთანხმებით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა?***

– პირადად ჩემთვის და ჩემი ორგანიზაციისთვის ეს თავიდანვე სრულად გამოკვეთილი იყო, მაგრამ ახლა უკვე ფაქტების დონეზე გამოიკვეთა და ალბათ უფრო მეტი ადამიანისთვის, ვიდრე თავიდან.

***– რადგან საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობდით, მის შემდეგ იგივე იმ მაგალითიდან, რომელიც თქვენ მოიყვანეთ, გაუჭირდება ბიძინა ივანიშვილს, რომ საგარეო კუთხით დაშვებული შეცდომები საგარეო საქმეთა მინისტრზე გადატეხოს? არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ მაია ფანჯიკიძე დიდი ხნის წინ უნდა მოეხსნა მინისტრის პოსტიდან***

– სხვათა შორის, მაია ფანჯიკიძე არის ძალიან რელიეფური გამოხატულება, დასურათება, ჩვენი საგარეო პოლიტიკის. ვფიქრობ, სწორედ ისეთი საგარეო პოლიტიკა აწყობს ამ ხელისუფლებას, კონკრეტულად ივანიშვილს, რომელსაც საუკეთესოდ განასახიერებს მაია ფანჯიკიძე. ასე რომ, ეს მაია ფანჯიკიძის ბრალი კი არ არის, რომ ასეთი საგარეო პოლიტიკა გვაქვს, უბრალოდ, ამ საგარეო პოლიტიკას, რომელიც არის, საუკეთესოდ გამოხატავს სწორედ მაია ფანჯიკიძე მთელი თავისი არსებით.

***– ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთთან მსგავსი ლოიალობა რეალურად დანაშაულებრივი პოლიტიკაა მმართველი გუნდის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების ფონზე, როცა დეოკუპაციის მიმართულებით ნაბიჯები არ ჩანს.***

– რა თქმა უნდა, ეს არის დანაშაულებრივი პოლიტიკა. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა. ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკაა და რუსეთის გამართლებას ისახავს მიზნად, როდესაც სახელისუფლებო, პრემიერ-მინისტრის დონეზე ცხადდება, რომ თითქოს აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო; რომ თითქოს გადაკვრით საუბრობენ, ზოგჯერ პირდაპირაც იმაზე, რომ ომის დაწყებაში ოსების წინააღმდეგ დანაშაული მიუძღვის სააკაშვილს. ჯერ ერთი, ეს ელემენტარული ტყუილია, რადგან ვერავინ დაიწყებს ომს საკუთარ ტერიტორიაზე. ეს გამორიცხულია. საქართველოს მხრიდან, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო მაშინ ხელისუფალი; არავითარი ეთნიკური ნიშნით დანაშაული საქართველოს მხრიდან არ ყოფილა ჩადენილი. პირიქით, მოხდა ეთნოწმენდა ამ ტერიტორიებზე და მოხდა მეზობელი სახელმწიფოს შემოჭრა ჩვენს ტერიტორიებზე. ასეთ დროს საქართველოს ხელისუფლებისთვის სულ ერთია, ის ხელისუფლება კარგი იყო თუ ცუდი, ბრალის წაყენება, რომ თითქოს მან დაიწყო ომი, ამას მე სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა პუტინის დავალების შესრულებას.

***– წინ ვილნიუსის სამიტია, თუმცა მანამდე ევროპარლამენტის რეზოლუციას და საქართველოზე ჩანაწერს ანიჭებს ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას. შეიძლება დასავლეთის მხარდაჭერამ საქართველოს მიმართ იკლოს არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე?***

– საშიშროება სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარების, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ბოლოს იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ივანიშვილმა თქვა, რატომაც არ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კავშირის საკითხიო. ასეთი განცხადებებით, აგრეთვე პოლიტიკური რეპრესიებით, ძალიან ცალყბად გატარებული არაღიარების პოლიტიკით, ახალ რეალობასთან შეგუების ნიშნების გამომჟღავნებით, ამით, საბოლოო ჯამში, რასაკვირველია, სუსტდება ეს მხარდაჭერა. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ ეს პოლიტიკა ვერ გაიმარჯვებს. რუსეთი ვერ შეძლებს ევრაზიული კავშირის შექმნას, ჩემი აზრით; ან თუ შექმნის, ისეთივე მკვდრადშობილი აღმოჩნდება, როგორიც დსთ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებაც ვერ შეძლებს რუსეთის ამ გეგმისთვის მომსახურებას, თორემ დღეს რასაც ისინი აკეთებენ, რასაკვირველია, მიმართულია აი, ამ გეგმის შესრულებისკენ.

***– ეს გეგმა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, რეალურად არის იმის მიზეზი, რომ ქვეყანაში ახალი ეროვნული მოძრაობა და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა გააქტიურდეს? თავად ხელისუფლებას უქმნის საფრთხეს მისი საგარეო ნაბიჯები?***

– მე არ ვიცი, თავად რამდენად უქმნის ოცნების ხელისუფლებას ეს საფრთხეს, თვითონ ივანიშვილი აცხადებს, რომ მიდის პოლიტიკიდან. საერთოდ, არის ასეთი განცდა და ჩემი აზრითაც, ივანიშვილისთვის არც მოსვლა უკითხავს ვინმეს და არც წასვლას არავინ ჰკითხავს. მას აქვს გარკვეული ამოცანები. შესაძლოა რუსეთიდან მისთვის დასახული ეს ამოცანა იყოს და გარდამავალი, შუალედური, რომ მან მოაშორა წინა ხელისუფლება და ამავე დროს დაიწყო შერყევა პროდასავლური კურსის. შესაძლოა მისი ამოცანა მხოლოდ ამით იყოს შემოფარგლული და უკვე შემდეგი და კიდევ უფრო პრორუსული ხელისუფლების ამოცანა იყოს შემდგომი პრორუსული ნაბიჯების გადადგმა. ეს გამორიცხული არაა.

***– დაბოლოს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ქართული საზოგადოება მოატყუა?***

– რასაკვირველია.

***– ამას იმიტომ გეკითხებით, რომ პრემიერი აცხადებდა, რუსეთთან შერბილებული ტონით და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებით ოკოპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა თავად მოისურვებს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნასო. აშკარაა, რომ ამ ტონმა და რუსეთის ბაზარმა საქართველოს არ უშველა, ოკუპაცია გრძელდება.***

– რასაკვირველია, ეს არის ტყუილი. საერთოდ, შეგნებულად იქნა ორი ძალიან სერიოზული ტყუილი გავრცელებული და საზოგადოების ნაწილშიც არის ეს აზრი, რომ თითქოს რუსეთს რაც უფრო მლიქვნელურად მოვექცევით და მის მიმართ ცალმხრივ დათმობებს ჩავიდენთ, მით უფრო კარგად მოგვექცევა. ეს სათავეშივე ტყუილია. იმიტომ, რომ პირიქით, მლიქვნელებს და მონებს ყველა უფრო მეტად აჯდება თავზე. ეს ჩვეულებრივი ამბავია და არავინ კარგად არ ექცევა. მეორე, რუსეთის დამახასიათებელია ზოგადად ის, რომ ის, რაც უფრო მეტად დაინახავს მოწინააღმდეგის სისუსტეს, უფრო და უფრო აგრესიული ხდება. ასე რომ, პირიქითაა. რუსეთთან ადამიანი უნდა იყოს პრინციპული. მე აქ იმას არ ვგულისხმობ, რომ ხელისუფლების მხრიდან ანტირუსული პროპაგანდა უნდა იყოს, მაგრამ იმპერიული ზრახვების მიმართ ხელისუფლება პრინციპული უნდა იყოს. სწორედ მაშინ იქნება შესაძლებელი რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. მეორე – აბსოლუტური ტყუილია აგრეთვე ის, რომ თითქოს რუსეთს პრობლემა ჰქონდა რომელიმე ქართულ ხელისუფალთან, კონკრეტულად ისინი სააკაშვილზე ამახვილებენ ყურადღებას, და ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა; მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ შევარდნაძეზეც თავის დროზე ზუსტად იგივეს ამბობდნენ. საქმე ისაა, რომ ეს არის ტყუილი. რუსეთს პრობლემა რომელიმე ქართველ პოლიტიკოსთან კი არ აქვს, მას პრობლემა აქვს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან და ქვეყნის სუვერენიტეტთან. ის ქვეყანას ებრძვის და არა რომელიმე ჩვენს ხელისუფალს. სხვათა შორის, ამ ხელისუფლების ერთწლიანმა პერიოდმა ძალიან რელიეფურად აჩვენა ამ ორი თეორიის მცდარი ხასიათი. ერთი – ის, რომ ცალმხრივი დათმობები არ იძლევა შესაბამის ნაბიჯებს რუსეთიდან, პირიქით, კიდევ უფრო ამწვავებს რუსეთის აგრესიულობას და მეორე – თურმე სააკაშვილთან კი არ ჰქონია პრობლემა, არამედ საქართველოს ტერიტორიასთან და სუვერენიტეტთან. რაც შეეხება ვაჭრობის საკითხს, რომელზეც ასეთი ყურადღება მახვილდება, ესეც ძალიან მცდარია. კი, მე სრულიად არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის ბაზარი გამოვიყენოთ, მაგრამ ამაზე მთელი იმედების დამყარება და ქართული ეკონომიკის აგება რუსულ ბაზარზე, უზარმაზარი შეცდომაა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთს შეუძლია ეს პოლიტიკური ნიშნით გამოიყენოს ნებისმიერ მომენტში და უკვე ამ ბაზარზე აწყობილი ეკონომიკა დატოვოს ამ ბაზრის გარეშე. მეორეც, ეს ხელს უშლის ქართული ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას, ევროპული გზით განვითარებას. იმიტომ, რომ როცა ის უკვე რუსეთზეა აწყობილი, მას უნარი აღარ აქვს ევროპული სტანდარტები დააკმაყოფილოს. ამიტომ, გამოსავალი არის არა ასეთი გაგიჟება რუსეთის ბაზარზე, ძალიან მშვიდად და ფრთხილად ამ ბაზრის გამოყენება. ანუ საჭიროა, რუსეთის ბაზრის ფრთხილად გამოყენება და არა მისი დასახვა პანაცეად.

მოქალაქე - მურმან კაკაურიძეს
პ/ნ -18001068581

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 727830001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 727830001-4 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 727830001-ა |

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად ვალდებული ხართ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში, თუ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების) შესახებ.

პატივისცემით,

სს „ბითიეი ბანკი“

# რას ითხოვს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი?

ეკა ირემაშვილი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ბიზნესმენებს მიმართავს. ის მსხვილი კომპანიების მფლობელებს, მოუწოდებს, დაეხმარონ ეროვნულ ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში:

— მივმართავ მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებს. მოგეხსენებათ, ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს იშვიათ, უნიკალურ გამოცემათა განყოფილება და ფონდი, სადაც მსოფლიო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქართული თუ უცხოური გამოცემები ინახება. ჩვენი მიზანია ეს ადგილი გადაიქცეს ერთგვარ წიგნის მუზეუმად, პერმანენტული და პერიოდული გამოფენებით და თანამედროვე საცავით. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში გამოჩნდება ბიზნესი, რომელიც დაგვეხმარება ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში. მით უფრო, ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და კომპანიის სახელი მართლაც დარჩება ქართული კულტურისა და წიგნიერების ისტორიაში. მზად ვარ, ჩვენი გეგმა, დეტალური ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არ გულისხმობს განსაკუთრებით დიდ თანხას და ა.შ, დაინტერესებულ პირებს გავაცნო, — ნათქვამია გიორგი კეკელიძის განცხადებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად ზრუნავს როგორც საქართველოს რეგიონებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ქართული ლიტერატურის გავრცელებასა და პოპულარიზაციაზე. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა პანკისის ხეობის სოფელ დუისში 1000 წიგნი ჩაიტანეს და ბიბლიოთეკა მოაწყვეს. ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის „ელექტრონული განვითარების სინდიკატი“ ფარგლებში გაიმართა.

ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა გერმანიის ქალაქ მიუნხენში. ღონისძიება ქართული დელეგაციის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ყოფნისას გაიმართა. მიუნხენის ქართული ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეგროვება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. წიგნების შეწირვის მსურველებს გამოცემები შეეძლოთ დაეტოვებინათ ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების კოორდინატორთან, ახალგაზრდულ ორგანიზაცია „დავითიანნის“ ოფისში, სამების საკათედრო ტაძარში და მიუნხენში ვახტანგ გორგასლის სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით ქართული წიგნის კუთხეები უკვე გახსნილია სტამბოლში, ვენაში, კიევში, ათენში, პრეტორიასა და პრატოში. მიუნხენში ქართული ბიბლიოთეკა იქ მცხოვრები ქართველი სტუდენტებისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიხსნა.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ პერევის ბიბლიოთეკის მხარდაჭერა გადაწყვიტა და საჩუქრად 800-მდე წიგნი გადასცა. ეს ღონისძიება საბიბლიოთეკო სინდიკატის პროექტის ფარგლებში ჩატარდა. პერევის ბიბლიოთეკისთვის დახმარების გაწევის იდეა ჟურნალისტ როლანდ ხოჯანაშვილს ეკუთვნის. პერევის ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრას საჩხერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საჩხერის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი, თანამშრომლები და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა პერეველ კოლეგებს რეგიონული ბიბლიოთეკების განვითარების პროექტი გააცნეს და მათ ელექტრონული განვითარების სინდიკატში ჩართვა შესთავაზეს. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი პერევის ბიბლიოთეკას ერთ კომპიუტერსაც დაპირდა. როგორც შეხვედრაზე ითქვა, პერევის ბიბლიოთეკას, როგორც საქართველოს სხვა რეგიონულ ბიბლიოთეკებს, მსგავსი მხარდაჭერა არასოდეს ჰქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით, საქართველოს საპატრიარქოს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გამომცემლობა „ინტელექტის“ დახმარებით ავღანეთში მყოფი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის საჩუქრად საქართველოში გამოცემული თანამედროვე და სასულიერო ლიტერატურა, სულ 226 ეგზემპლარის გაგზავნა დაიგეგმა. იდეის ავტორთა გადაწყვეტილებით, ავღანეთში ქართული წიგნების კუთხის გახსნა აუცილებელია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტრონული დარბაზი უკვე ფუნქციონირებს. ახალი დარბაზი საზეიმოდ გახსნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ.

— ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ელექტრონული დარბაზის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით შეძლო. მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე „ლიბერთი ბანკმა“ ელექტრონული დარბაზისთვის 50-მდე კომპიუტერი, ავეჯი და სხვა საჭირო ტექნიკა გამოყო. უახლესი ტექნიკა ეროვნული ბიბლიოთეკის ახალგარემონტებულ ფართზე განთავსდა, — განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

მისივე თქმით, ელექტრონული დარბაზი, რომლის სახელი „ლიბერთი ელექტრონული დარბაზია“, მკითხველს შესთავაზებს ელექტრონულ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს და თავისუფალ წვდომას ინტერნეტზე. დარბაზი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც შეითავსებს. აქ არაერთი საინტერესო ღონისძიების გამართვა იგეგმება.

როგორც გიორგი კეკელიძე აცხადებს, ემიგრანტული ფონდი კიდევ უფრო გამდიდრდება, ამის დასტურია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრებს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრების“ თავმჯდომარემ რუსუდან გორგილაძემ. „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრების“ დამფუძნებლები არიან გიორგი კეკელიძე, ლევან თაქთაქიშვილი, რუსუდან გორგილაძე, გიგა მახარაძე, კოტე ჯანდიერი, მამუკა ხაზარაძე. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ერთობლივად მოიპოვებენ ქართველ ემიგრანტთა არქივებში დაცულ უნიკალურ მასალებს და უზრუნველყოფენ მათს ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისთვის. „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრებს“ ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ ემიგრაციის დარბაზთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვთ. სწორედ მათი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ზალდასტანიშვილებისა და დიასამიძეების უნიკალური არქივების საქართველოში ჩამოტანა. ეს მასალები ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ინახება.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ აბასთუმნელ, გორელ და თბილისელ მესხებსაც უმასპინძლა. მათ ჩაუტარდათ ექსკურსია ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დაათვალიერეს დარბაზები, ფონდები, გაეცნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიას, ელექტრონულ კატალოგებს. ღონისძიება პროექტის „მესხური თემის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოში: ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი“ და „მოძრაობა შიშილის წინააღმდეგ“ ახორციელებს.

ამერიკის საელჩოს უფროსმა მრჩეველმა პოლიტიკის დარგში მაიკლ ტერნერმა ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად ხუთი ფოტოსურათი გადასცა. მაიკლ ტერნერის ფოტოგამოფენას ეროვნული ბიბლიოთეკა ივნისში მასპინძლობდა. ამერიკელი დიპლომატისა და ფოტოგრაფის ობიექტივმა საქართველოს ბუნება, ისტორიული ძეგლები და ტრადიციები ასახა.

ეროვნული ბიბლიოთეკის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივის“ მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურს „კალმის“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა, სადაც სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებაში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული მსჯავრდებულები დასახელდნენ. კონკურსის შედეგად სამი საუკეთესო პროზაული და ამდენივე პოეტური ნაწარმოების ავტორი გამოვლინდა. მათ სიგელები, სიმბოლური პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ჟიურის წევრები ფარული კენჭისყრით მსჯავრდებულებმა აირჩიეს. მათი გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულების შემოქმედება დავით ტურაშვილმა, რატი ამაღლობელმა და თეონა დოლენჯაშვილმა შეაფასეს. გამარჯვებული ავტორების ნაწარმოებებს საგამომცემლო სახლი „საუნჯე“ წიგნად გამოსცემს. სამინისტროს გადაწყვეტილებით კონკურსი ყოველწლიურად ჩატარდება. პროექტის მიზანი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციაა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ინიციატივით, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი და იშვიათ გამოცემათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნათია კობახიძე პროექტის „ლევილის „შატოს“ წიგნთსაცავის შესწავლა და კლასიფიცირება“ ფარგლებში საფრანგეთში იმყოფებოდნენ.

პროექტი „ლევილის „შატოს“ წიგნთსაცავის შესწავლა და კლასიფიცირება“ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელდა. მას ხელმძღვანელობდა პროფესორი სტივენ ჯონსი. პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს საელჩო საფრანგეთში, სამოქალაქო საზოგადოება „ქართული კერა“ და ნოე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა ლევილის „ქართველთა შატოში“ წიგნების შესანახად განკუთვნილი სივრცეები. იქ დაცული ფონდიდან ამოირჩა კავკასიასა და საქართველოსთან დაკავშირებული რევოლუციამდელი გამოცემები, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ქართველი ემიგრანტების მიერ 1920-1980-იან წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები. ასევე, შესაძლებელი გახდა წიგნებისა და ჟურნალების გაწმენდა, აღრიცხვა, კატალოგის შედგენა, ეგზემპლარების დანომვრა და „შატოს“ მამულის ტერიტორიაზე ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ შენობაში მათი თანმიმდევრული განთავსება. განსაკუთრებით საინტერესო წიგნები, სტატიები და ფოტომასალა გაციფრდა. ლევილის „შატოს“ მესაკუთრეთა საზოგადოება „ქართულმა კერამ“ ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა წიგნები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც მას არასრულად ან საერთოდ არ მოეპოვებოდა. ეროვნულ ბიბლიოთეკას ასევე საჩუქრად გა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ლოკომოტივი გალიდერდა



**აია – ლელო 10:21**

**აია:** ძნელაძე, შაშიაშვილი (კიკვაძე), ფრუიძე, ს.კვერნაძე, აბრამიძე, სინაურიძე (ბაბუნაშვილი), როხვაძე; რატიაშვილი, მატკავა (სალდაძე), ულუმბელაშვილი (ტ. ჩხიკვაძე), ძაგნიძე (ლოსაბრერიძე), ჩიტეიშვილი (ჯიმშიტაშვილი), რევიშვილი, შალამბერიძე, ყურაშვილი

**ლელო:** სალდაძე;

**გარდასახვა:** ბაბუნაშვილი;

**ჯარიმა:** სინაურიძე;

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, კოპაძე, ნიჟარაძე, ხმალაძე, კაჭარავა; სანიკიძე, ბელქანია (ლომთაძე), პატარაია (მელიქიძე), ნიკოლეიშვილი (ხორბალაძე), ქოიავა, სურგულაძე (მძინარიშვილი), კოლელიშვილი (მჭედლიშვილი), ჭყოიძე

**7 ჯარიმა:** ყიასაშვილი (7)

ტურის ცენტრალური შეხვედრა ქუთაისში გაიმართა, სადაც ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „აიამ“ ქვეყნის ჩემპიონს, თბილისის „ლელოს“ უმასპინძლა. ეს გუნდები წელსაც საჩემპიონოდ იბრძვიან და დაძაბული ბრძოლა თავიდანვე იყო მოსალოდნელი.

მატჩის დებიუტი სტუმრების სრული უპირატესობით წარიმართა. ისინი მეტოქის ნახევარს აკონტროლებდნენ და მასპინძლებს მათი შეჩერება მხოლოდ ჯარიმის ხარჯზე უხდებოდათ. ერთია, ყიასაშვილმა დასაწყისში ორი ხელსაყრელი ჯარიმა გააცუდა.

მასპინძლებიც გამოცოცხლდნენ და ანგარიში გახსნა არეკნით სცადეს, მაგრამ სინაურიძემ სიზუსტე ვერ გათვალა.

20-ე წუთზე სტუმართა მასირებული შეტევის შემდეგ, ქუთათურები საკუთარი ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დაჯარიმდნენ. დედაქალაქელებმა ლელოზე თამაშს უეჭველი 3 ქულის მოპოვება არჩიეს. ყიასაშვილს ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია – 0:3.

ნახევარი საათის მიწურულს ანალოგიური მდგომარეობა მასპინძლებსაც შეექმნათ, თუმცა სინაურიძემ, ძალიან ხელსაყრელი მდგომარეობიდან, ბურთის კარის ძელებს შორის გატარება ვერ მოახერხა. 35-ე წუთზე, აუტიდან ბურთის მოგების შემდეგ, ფრუიძემ მეტოქეს ხაზი გაუჭრა და თითქმის ჩათვლის მოედნამდე ირბინა, იქ კი მისი შეჩერება სტუმრებმა მხოლოდ აკრძალული ილეთის ხარჯზე მოახერხეს. ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით სინაურიძემ თანაფარდობა აღადგინა – 3:3.

მოედნის ცენტრიდან თამაშის განახლებისთანავე მასპინძლები ისევ დაჯარიმდნენ და ყიასაშვილმა თავისიანები ისევ წინ გაიყვანა – 3:6.

ტაიმის უკანასკნელ წუთზე, ქუთათურთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. საკუთარი ჩათვლის მოედნის სიახლოვეს, შერკინებაში რამდენჯერმე არასწორი თამაშის გამო, ირლანდიელმა რეფერიმ მასპინძლები დააჯარიმა, ხოლო ჩიტეიშვილი მოედნიდან 10 წუთით გააძევა. ყიასაშვილმა საჯარიმო ამჯერადაც ზუსტად შეასრულა და პირველი ტაიმის ანგარიშიც დააფიქსირა – 3:9.

მეორე ტაიმიც ლელოების გამოდგა. კაცნაკლული მასპინძლები თბილისელთა მიძალებას ველარ უმკლავდებოდნენ და ჯარიმებს უხშირეს. 43-ე წუთზე ყიასაშვილის მორი დარტყმის შემდეგ ანგარიში 3:12 გახადა. სამი წუთის შემდეგ კი, მეტოქის შეტევის განზრახ ჩაშლისთვის, არბიტრმა ქუთაისელი კვერნაძე გაასინბინა, ყიასაშვილმა კი თავისიანები კიდევ უფრო დააწინაურა – 3:15.

ამის შემდეგ ყიასაშვილმა კიდევ ორი ჯარიმა გაიტანა, რასაც შეხვედრის უკანასკნელ წუთზე მასპინძელთა ბოლო გაბრძოლება და მოედანზე შეცვლაზე შესული სალდაძის ლელო მოჰყვა, რომელიც ახალგაზრდა ბაბუნაშვილმა გარდასახა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 10:21.

**ლოკომოტივი – ბათუმი 36:17**

**ლოკომოტივი:** წიკლაური, შიოშვილი (ბიწაძე 49), ჭურღულია, კავთიძე, ჟამუტაშვილი, ჭინჭარაული, კლიმიაშვილი (ზაბახიძე 54); ელოშვილი, გენებაშვილი, ზარიძე (ბალიაშვილი 64), გეგია, ხულუაშვილი, ფ.გასვიანი, ახვლედიანი (ჩიტიძე 78), ბერიშვილი

**6 ლელო:** ახვლედიანი (2) ბერიშვილი (2) ჭინჭარაული ზაბახიძე;

**3 გარდასახვა:** წიკლაური (3)

**ბათუმი:** სვინტრაძე, გ.ევგენიძე, აშვეთია, ხონელიძე, ნინიძე, ოდიშარია (ჩუბინიძე 68), შამული; ხოჭოლავა (კაიკაციშვილი 68), კელენჯერიძე (სულაბერიძე 68), მოქია, ბერიძე, კვაჭაძე, ნაგერვაძე, მეგრელიძე (კორტავა 47), გუგუშვილი

**2 ლელო:** მოქია სულაბერიძე;

**2 გარდასახვა:** ოდიშარია აშვეთია;

**არეკნი:** აშვეთია

ანგარიშში სოლიდური სხვაობის მიუხედავად, პირველი ტაიმის შემდეგ ვერავინ იტყოდა, რომ ლოკომოტივი იოლად იმარჯვებდა. მეტიც, ზღვისპირელები შესვენებაზე უპირატესობით გავიდნენ – 10:9.

თუმცა, შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ფავორიტმა ლოგიკურად იმარჯვა.

**ჯიქები – ხარები 43:10**

**ჯიქები:** კიკნაძე, ბიწაძე (ჯიმუხაძე 62), ბერძული, ჯინჯიხაძე (კუპრეიშვილი 62), კალანდაძე, გიორგაძე, ნადირაძე (ჭინჭარაული 62); ბარბაქაძე (ხატიაშვილი 41), მამრიკიშვილი (სვანიძე 41), ოქრიაშვილი (ჯინჭარაძე 41), გოლიძე (ტრაპაიძე 55), მჭედლიშვილი, ტუჩაშვილი, შენგელია, სუხაშვილი

**6 ლელო:** სუხაშვილი (2) ბიწაძე მჭედლიშვილი ტრაპაიძე კალანდაძე;

**5 გარდასახვა:** გიორგაძე (5)

**ჯარიმა:** გიორგაძე

**ხარები:** წიკლაური (უმც) თეგეთაშვილი (ღამბაშიძე 62), მელიქიშვილი, ბ.ბებიაშვილი, გ.ბებიაშვილი, ჭაავა, ხუციშვილი; ხაბაშვილი (მაჭარაშვილი 51), აღაშვილი (ზურიკიშვილი 80), წიკლაური (გოგოლაძე 80), ხელია, ქარუხნიშვილი (ქუფარაშვილი 57), ღამბარაშვილი, თედელური (ტყეშელაშვილი 62), ქვლივიძე

**ლელო:** ხელია

**გარდასახვა:** წიკლაური (უმც)

**ჯარიმა:** წიკლაური (უმც)

ჯიქებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და საქმე იოლ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

**არმია – ყოჩები 17:13**

**არმია:** შკინინი, ნუცუბიძე (კობახიძე 66), გაგოშვილი (კალმახელიძე 76), ჩხიკვაძე, ტუჩაშვილი, ჯიმშელაძე, ღვინჯილია (ჯინაშვილი 54), ზაქაშვილი (კაკოვინი 52), მამუკაშვილი, დონაძე, ცხადაძე (ჟღენტი 51), ჩიტიძე (უჩავა 63), თხილაიშვილი, დარასელია, მაისურაძე (აზალაძე 77)

**2 ლელო:** მამუკაშვილი გაგოშვილი

**2 გარდასახვა:** ნუცუბიძე (2)

**ჯარიმა:** ნუცუბიძე

**ყოჩები:** შ.მახარაშვილი, გოგოლაშვილი, ხარშილაძე, ქუშაშვილი (ხუციშვილი 69), ბაკურაძე (კ.მახარაშვილი 69), სოხაძე, ბეგაძე; გოგიშვილი (ესაკია 27), ხიდეშელი (ცუცქირიძე 53), შენგელია (ჯინჭარაძე 58), წიკლაური (ხვისტანი 57), გრძელიშვილი, აფციაური, ტყეშელიაძე, ჩხიკვაძე

**ლელო:** კ.მახარაშვილი

**გარდასახვა:** სოხაძე

**2 ჯარიმა:** სოხაძე (2)

დაძებული მატჩი კი გამოდგა, მაგრამ არმიელებს გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. ბოლნისელებმა პრემიალურ ქულას ხელი ბოლო წუთზე გამოკრეს.

**არმაზი – აკადემია 23:20**

**არმაზი:** ჩხაიძე, სირაძე, მაჩხანელი, ნიკოლავა, კაიფაჯაინი, კიკნაძე, მისრიაშვილი, ბეჟიაშვილი (მჭედლიძე 74); თაგაური, ესართია, კაჭარავა (მოდებაძე 57), არჩუაშვილი, კანდელაკი, მინაშვილი, სოსელია

**3 ლელო:** მაჩხანელი კანდელაკი ბეჟიაშვილი

**გარდასახვა:** კიკნაძე

**2 ჯარიმა:** კიკნაძე (2)

**აკადემია:** მელაძე, მათიაშვილი, წასიძე, ილურიძე, კალანდარიშვილი, ქოპილაშვილი, ჯ.ღამბაშიძე; ფეიქრიშვილი, წვერავა, მაზმიშვილი (გ.ღამბაშიძე 41), ნებულიშვილი, ბერიკაშვილი (მაღლაკელიძე 41), ნიბლაძე, გოგოლაძე, ლუარსაბიშვილი (ჩაჩუა 42)

**2 ლელო:** ჯ.ღამბაშიძე ნიბლაძე

**2 გარდასახვა:** მელაძე (2)

**2 ჯარიმა:** მელაძე მათიაშვილი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 187:131 | 28 |
| 2.აია | 8 | 6 | 0 | 2 | 169:101 | 28 |
| 3.ლელო | 7 | 6 | 0 | 1 | 180:90 | 27 |
| 4.არმაზი | 7 | 5 | 0 | 2 | 158:137 | 22 |
| 5.ყოჩები | 8 | 4 | 1 | 3 | 196:170 | 21 |
| 6.ჯიქები | 8 | 3 | 2 | 3 | 180:129 | 20 |
| 7.არმია | 7 | 3 | 1 | 3 | 150:128 | 17 |
| 8.აკადემია | 7 | 1 | 0 | 6 | 76:185 | 6 |
| 9.ბათუმი | 7 | 1 | 0 | 6 | 97: :202 | 5 |
| 10.ხარები | 7 | 0 | 0 | 7 | 85: 205 | 2 |

# საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ახალგაზრდა ქართველებმა ფინალში საბერძნეთის გუნდს 4:1 სძლიეს.

საქართველოსა და საბერძნეთის ფინალური ჯახი ქართველთათვის არასასურველი სცენარით დაიწყო და პირველივე ბრძოლაში კელიხაშვილი ახალგაზრდებს შორის ევროპის 3-გზის ჩემპიონ გეორგიოს აზოიდისთან გაფრთხილებებით დამარცხდა. ამის შემდეგ უკვე ჩვენები დომინირებდნენ.

ანგარიში ფრიდონ გიგანმა გაათანაბრა რომან მუსტოპულოსის ჯერ იუკო, ხოლო შემდეგ ვაზარი აართვა. არადა, მანამდე გაფრთხილებებით აგებდა.

მომდევნო ქულა 81 კილოგრამში მარგიანმა მოგვიტანა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონი ალექსიოს ნტანაციდისი, წუთნახევარში ვაზარზე დასცა და შემდეგ გამარჯვების დაბოლოვება არ გასჭირვებია.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გამნაღდებელი ქულა საქართველოს ნაკრებს ღვინიაშვილმა მოუტანა. ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონმა გეორგიოს მალიაროპულოსი წუთ-ნახევარში ვაზარზე დააგდო, შემდეგ კი მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა.

მატიაშვილმა საბოლოო ანგარიში დავიდ კარაკლიდისთვის შესრულებული ეფექტური სუფთა გდებით დააფიქსირა.

გეტყვით იმასაც, რომ შეჯიბრის პირველ წრეში ქართველმა ძიუდოისტებმა რუსეთის ნაკრები 3:2 დაამარცხეს. შემდეგ მეოთხედფინალში 5:0 სძლიეს მონღოლეთის ნაკრებს, ხოლო ნახევარფინალში ასეთივე ანგარიშით – სლოვენიელ თანატოლებს.

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის წლეულს პირველად ჩატარდა. მესამე ადგილებზე გავიდნენ იაპონიისა და უკრაინის ნაკრებები.

ოქროს მედალი ქართველებმა ინდივიდუალურადაც მოიპოვეს.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილმა 5 ბრძოლა ჩაატარა და ხუთივე შთამბეჭდავად მოიგო.

ღვინიაშვილი საჩემპიონო გზა სლოვაკი არპად სზაკაცის დაიპონებით დაიწყო. სლოვაკს ტან მიყვა რუსეთის ნაკრების წევრ რამაზან მალსუიგენოვი, სამხრეთაფრიკელი მიჩელ მარჩიტან და ნახევარფინალში პოლონელი პოლონელ პატრიკ ციეჩომსკის.

ბექამ გადამწყვეტი გამარჯვება კი ყაზახ სამატ იესენთან მოიპოვა. ჩვენებურმა თავიდანვე აქტიურად შეუტია და ერთ წუთში, მეტოქეს პასიურობისთვის გაფრთხილება მიაღებინა. მესამე წუთის ბოლოს იუკოზე დააგდო, შემდეგი შეტევა კი ვაზარით დააგვირგვინა და გდებას შებოჭვა მიაყოლა.

ბრინჯაოს მედლის მფლობელები მძიმეწონოსანი ლევან მატიაშვილი და ყველაზე მჩატე წონაში მოასპარეზე ლერი ჭელიძე (55 კგ) გახდნენ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ნიუკასლი ............... 2:1
სუონსი-ვესტ ჰემი ............................ 0:0
ტოტენჰემი-ჰალი .............................. 1:0
ჩელსი-სიტი ........................................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-9 | 22 |
| 2.ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 3.ლივერპული | 9 | 6 | 2 | 1 | 17-8 | 20 |
| 4.ტოტენჰემი | 9 | 6 | 1 | 2 | 9-5 | 19 |
| 5.საუთჰემპტონი | 9 | 5 | 3 | 1 | 10-3 | 18 |
| 6.ევერტონი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-10 | 18 |
| 7.სიტი | 9 | 5 | 1 | 3 | 21-11 | 16 |
| 8.მანჩესტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| 9.სუონსი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-11 | 11 |
| 10.ჰალი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-10 | 11 |
| 11.ნიუკასლი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-16 | 11 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 |
| 13.ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| 14.ფულემი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| 15.ვესტ ჰემი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-8 | 9 |
| 16.კარდიფი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-13 | 9 |
| 17.სტოკი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-10 | 8 |
| 18.ნორვიჩი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 19.სანდერლენდი | 9 | 1 | 1 | 7 | 7-21 | 4 |
| 20კრ. პალასი | 9 | 1 | 0 | 8 | 6-19 | 3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჩარლტონი-უიგანი .......................... 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ოსასუნა .......................... 2:1
ვილიარეალი-ვალენსია ................. 4:1
სოსიედადი-ალმერია ..................... 3:0
ატლეტიკო-ბეტისი ........................ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 |
| 2.ატლეტიკო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-7 | 27 |
| 3.რეალი | 10 | 7 | 1 | 2 | 20-11 | 22 |
| 4.ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| 5.ხეტაფე | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 6.ბილბაო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-13 | 16 |
| 7.ლევანტე | 10 | 4 | 4 | 2 | 12-14 | 16 |
| 8.ესპანიოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-14 | 14 |
| 9.სოსიედადი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 10.სევილია | 10 | 3 | 4 | 3 | 17-17 | 13 |
| 11.ვალენსია | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 12.ელჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 13.გრანადა | 10 | 3 | 2 | 5 | 6-10 | 11 |
| 14.ვალიადოლიდი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-15 | 10 |
| 15.სელტა | 10 | 2 | 3 | 5 | 13-13 | 9 |
| 16.მალაგა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-14 | 9 |
| 17.რაიო | 10 | 3 | 0 | 7 | 7-24 | 9 |
| 18.ბეტისი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 19.ოსასუნა | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 7 |
| 20.ალმერია | 10 | 0 | 3 | 7 | 11-23 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უელვა-მალიორკა ............................ 3:1
ბარსელონა ბ-ეიბარი ...................... 0:2
ლუგო-საბადელი ............................. 1:0
მირანდესი-ნუმანსია ...................... 0:0
მურსია-კორდობა ............................ 2:2
ხიხონი-ლას პალმასი ....................... 2:3
ერკულესი-ხაენი .............................. 0:1
რეალი ბ-პონფერადინა .................. 1:1
ალკორკონი-ხირონა ........................ 0:0

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-ტორინო ............................ 2:0
ბოლონია-ლივორნო ........................ 1:0
კატანია-სასუოლო .......................... 0:0
კიევო-ფიორენტინა ........................ 1:2
პარმა-მილანი ................................. 3:2
უდინეზე-რომა ............................... 0:1
იუვენტუსი-ჯენოა .......................... 2:0
ლაციო-კალიარი ............................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 9 | 9 | 0 | 0 | 23-1 | 27 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-6 | 22 |
| 3.იუვენტუსი | 9 | 7 | 1 | 1 | 18-10 | 22 |
| 4.ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 23-11 | 18 |
| 5.ფიორენტინა | 9 | 5 | 3 | 1 | 19-11 | 18 |
| 6.ვერონა | 9 | 5 | 1 | 3 | 18-16 | 16 |
| 7.ლაციო | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| 8.პარმა | 9 | 3 | 3 | 3 | 16-17 | 12 |
| 9.ატალანტა | 9 | 4 | 0 | 5 | 11-12 | 12 |
| 10.მილანი | 9 | 3 | 2 | 4 | 16-16 | 11 |
| 11.უდინეზე | 9 | 3 | 1 | 5 | 9-10 | 10 |
| 12.ტორინო | 9 | 2 | 4 | 3 | 13-15 | 10 |
| 13.კალიარი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 14.სამპდორია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 15.ლივორნო | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 16.ჯენოა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 17.კატანია | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 18.ბოლონია | 9 | 1 | 3 | 5 | 10-22 | 6 |
| 19.სასუოლო | 9 | 1 | 3 | 5 | 7-22 | 6 |
| 20.კიევო | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ჰამბურგი ................... 0:3
გლადბახი-აინტრახტი .................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 8 | 2 | 0 | 22-6 | 26 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 8 | 1 | 1 | 25-8 | 25 |
| 3.ლევერკუზენი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-10 | 25 |
| 4.გლადბახი | 10 | 5 | 1 | 4 | 23-15 | 16 |
| 5.ჰერტა | 10 | 4 | 3 | 3 | 17-12 | 15 |
| 6.ვოლფსბურგი | 10 | 5 | 0 | 5 | 14-12 | 15 |
| 7.შალკე | 10 | 4 | 2 | 4 | 18-22 | 14 |
| 8.შტუტგარტი | 10 | 3 | 4 | 3 | 20-14 | 13 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 10 | 3 | 4 | 3 | 25-23 | 13 |
| 10.ჰანოვერი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-16 | 13 |
| 11.მაინცი | 10 | 4 | 1 | 5 | 15-21 | 13 |
| 12.ჰამბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 23-22 | 12 |
| 13.ვერდერი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-15 | 12 |
| 14.აინტრახტი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-18 | 10 |
| 15.აუგსბურგი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-19 | 10 |
| 16.ნიურნბერგი | 10 | 0 | 7 | 3 | 11-19 | 7 |
| 17.ფრაიბურგი | 10 | 0 | 5 | 5 | 9-21 | 5 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-23 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-კოტბუსი ............................ 1:0
კარლსრუე-მიუნხენ 1860 ............... 2:1
უნიონი-აუე ..................................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-მონპელიე .......................... 2:0
მონაკო-ლიონი ................................ 2:1
სენტ ეტიენი-პსჟ ............................ 2:2

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 7 | 4 | 0 | 20-7 | 25 |
| 2.მონაკო | 11 | 7 | 4 | 0 | 20-8 | 25 |
| 3.ლილი | 11 | 7 | 2 | 2 | 13-4 | 23 |
| 4.ნანტი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-9 | 19 |
| 5.გენგამი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 17 |
| 6.მარსელი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| 7.სტ. ეტიენი | 11 | 5 | 2 | 4 | 17-15 | 17 |
| 8.ნიცა | 11 | 5 | 2 | 4 | 12-11 | 17 |
| 9.რენი | 11 | 4 | 4 | 3 | 15-11 | 16 |
| 10.რეიმსი | 11 | 3 | 6 | 2 | 11-10 | 15 |
| 11.ბასტია | 11 | 4 | 3 | 4 | 12-15 | 15 |
| 12.ტულუზა | 11 | 4 | 3 | 4 | 9-16 | 15 |
| 13.ბორდო | 11 | 3 | 5 | 3 | 14-13 | 14 |
| 14.ლიონი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-15 | 12 |
| 15.მონპელიე | 11 | 2 | 6 | 3 | 14-15 | 12 |
| 16.ევიანი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-19 | 12 |
| 17.ლორიანი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-19 | 10 |
| 18.აიაჩო | 11 | 1 | 4 | 6 | 7-15 | 7 |
| 19.სოშო | 11 | 1 | 3 | 7 | 10-22 | 6 |
| 20.ვალანსიენი | 11 | 1 | 2 | 8 | 7-18 | 5 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

როდა-პსვ ........................................ 2:1
ზვოლე-ალკმაარი ........................... 0:2
ფეიენოორდი-ერაკლესი ................. 1:2
ვიტესი-გრონინგენი ........................ 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბენფიკა-ნასიონალი ........................ 2:0
პორტუ-სპორტინგი .......................... 3:1
მარიტიმუ-ეშტორილი ..................... 1:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

რუბინი-ლოკომოტივი ..................... 1:2
ცსკა-კრასნოდარი ........................... 5:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

პარტიკი-სელტიკი ........................... 1:2
სტ.ჯონსონი-მოზერველი ............... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-თუნი ............................. 0:0
სიონი-გრასჰოპერსი ........................ 2:0
ციურიხი-ბაზელი ............................. 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-რაპიდი ............................ 0:1
გროდიგი-ზალბურგი ...................... 0:3

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-გენკი .................................. 0:2
ანდერლეხტი-სტანდარდი ............. 1:1
ვარეგემი-შარლერუა ...................... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-რიზე ............................ 4:1
ქაისერი-გალათასარაი ................... 2:4
ქონია-ბურსა ................................... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-პლატანიასი ......................... 1:2
ვერია-იანინა .................................. 2:2
პანიონიოსი-აპოლონი .................... 2:1
პანთრათიკოსი-პაოკი ..................... 0:3
ოლიმპიაკოსი-ოფი ......................... 5:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

მლადა-ბრნო .................................. 5:2
ტეპლიცე-პლზენი ........................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლიონსკი-ზავიშა ........................... 1:2
ლეხი-ლეგია .................................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სევასტოპოლი-ვოლინი .................. 2:1
დინამო-ილიჩევეცი ........................ 1:0
ჩერნომორეცი-ჰოვერლა ............... 2:1
დნიპრო-ვორსკლა .......................... 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სონდერიისკე ............... 2:0
რანდერსი-კოპენჰაგენი ................. 1:1
ოდენსე-ბრონდბიუ ........................ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-გიოტებორგი ..................... 2:1
დიურგარდენი-გეფლე ................... 1:1
სირიანსკა-ატვიდაბერგი ............... 4:1
ჰელსინბორგი-კალმარი ................. 2:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ტრომსო ............... 3:2
ბრანი-ჰონეფოსი ............................ 0:0
სონგდალი-ულფი ............................ 2:1
ოდ გრელანდი-სარპსბორგი .......... 2:2
სტრომგოდსეტი-სტარტი .............. 1:0

**აშშ. მლს**

დს იუნაიტედი-ჰიუსტონი ............. 1:2
კოლამბუსი-ქრიუ .................... ნიუ ენგლანდი ........................................ 0:1
ნიუ იორკი-ჩიკაგო ......................... 5:2
ვანკუვერი-კოლორადო .................. 3:0
სიეტლი-ლოს ანჯელესი ................ 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-ატლეტიკო(პ) ......................... 1:1
ინტერნასიონალი-სან აპულუ ........ 2:3
კორინთიანსი-სანტოსი .................. 1:1
პონტე პრეტა-ვასკუ ....................... 2:1
პორტუგეზა-ფლამენგო ................. 0:0
კურიტიბა-გრემიო .......................... 4:0
ნაუტიკუ-გოიასი ............................ 0:2
ფლუმინენსე-ვიტორია .................. 2:3

**ჩოგბურთი**

**ვტა. შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი**

უილიამსი!ს.-ლი ................. 2:6;6:3;6:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ოტავა-სან ხოსე .............................. 2:5
ფლორიდა-ტამპა ბეი ............ 3:3(0:1ბ)
კოლამბუსი-ანაჰაიმი ..................... 3:4
კოლორადო-ვინიპეგი .................... 3:2
ლოს ანჯელესი-ედმონტონი 1:1(1:0ბ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქეთი მელუას ახალი კლიპი აქვს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რამდენიმე თვის წინ უცხოურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ქეთი მელუა და ჯეიმს ტაუზლენდი ერთმანეთს დაშორდნენ. ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ოფიციალური კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით არ გააჩნდათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ვარსკვლავის წარმომადგენელი მის პირად ცხოვრებაზე არ საუბრობდა. ეს ინფორმაცია საბოლოოდ ჭორი აღმოჩნდა. ქეთი მელუამ თავისი გული ჯეიმს ტაუზლენდს გასული წლის პირველ სექტემბერს აჩუქა. წყვილის საქორწინო ცერემონია ლონდონის დასავლეთით, კევში, სამეფო ბაღებში მდებარე კონსერვატორიაში გაიმართა.

ქეთი მელუა უცხოელ ჟურნალისტებს ინტერვიუებით არცთუ ისე ხშირად ანებივრებს, თუმცა ნებისმიერი საინტერესო საკითხი მის მიერ უპასუხოდ არ რჩება. ამჟამად უცხოურ საიტზე ქართველი მომღერლის ბლიც-ინტერვიუ გამოქვეყნდა:

დღეს მე... – რეპეტიციისთვის ვემზადები. მალე ევროპულ ტურში მივდივარ. ბენდის წევრთა უმეტესობა ბრიტანელია, მხოლოდ გიტარისტი გვყავს ფრანგი. რეპეტიციაზე ახალ ალბომში „ქეთევანი“ შესულ ყველა სიმღერას ვიმღერებ.

ჩემი სამუშაო გარდერობი არის... – ძალიან განსხვავებული. დამოკიდებული ვარ იმაზე, სად მიწვევენ, ტელევიზიაში თუ სცენაზე. დღეს კი კომფორტული ჯინსი და ბოტასი მაცვია. შესაბამისად, მთელი დღე თავისუფლად ვიმოძრავებ.

მუშაობა არ შემიძლია... – ინტერნეტის გარეშე. რეპეტიციებზე, შესვენების დროს სისტემატურად ვამოწმებ იმეილს და ვხსნი „ფეისბუქის“ გვერდს.

ყოველთვის აღმაფრთოვანებს... – დედა და მამა. მათ ძალიან კარგად აღმზარდეს. მამაჩემმა წარმოუდგენელი შეძლო, კომუნისტური ქვეყნიდან წამოსულმა ბრიტანეთში სამუშაო იპოვა. დედამ კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მუსიკა შემყვარებოდა.

ძალიან დიდი პაუზა ავიღე... – გაკვეთილებზე, სადაც გიტარის უკეთ შესწავლას ვაპირებდი.

მომღერალი რომ არ ვიყო... – ბიოლოგად ვიმუშავებდი. შევეცდებოდი პროექტი შემემუშავებინა, რომელიც ოკეანეში თევზის სახეობების შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. ძალიან მიყვარს ყვინთვა და ხშირად მივდივარ ტურებში, რომელიც წყალქვეშა სამყაროში მოგზაურობას გვთავაზობს.

ქეთი მელუა თავის ახალ ალბომზე და სამომავლო გეგმებზეც ბევრს საუბრობს და აღნიშნავს, რომ ახალი ალბომის სახელისთვის ქართულ სიტყვებს არჩევდა. ამ თემასთან დაკავშირებით მისი ექსკლუზიური ინტერვიუ დასავლურ პრესაში გამოქვეყნდა:

***– თქვენს გულშემატკივრებს ახალი კომპოზიცია შესთავაზეთ. კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?***

– ეს სიმღერა კორონაციის ფესტივალისთვის დაიწერა. სიმღერა ჩემმა პროდუსერმა დაწერა და ჩემი მოვალეობა იყო, კარგად მემღერა. ეს ძალიან ემოციური იყო.

***– რა შეგრძნება გქონდათ, როდესაც ეს სიმღერა პირველად მოისმინეთ?***

– მაიკი და მე 10 წელია ვთანამშრომლობთ. ყოველთვის მიხარია, როდესაც მაიკ ბოტი ჩემთვის სიმღერას წერს. ვფიქრობ, ეს სიმღერა მაიკს რთული პერიოდის დაძლევაში დაეხმარა. სწორედ ეს გავიფიქრე, როდესაც პირველად მაიკის სიმღერა მოვისმინე.

***– თქვენს ახალ ალბომზე „ქეთევანზე“ რას იტყვით?***

– ალბომში სხვადასხვა ჟანრის მელოდიებია გაერთიანებული და, შესაბამისად, მსმენელს არჩევანის საშუალება ეძლევა. ეს ალბომი ჩემი მუსიკალური კარიერის შეჯამებაა.

***– ალბომს თქვენი ქართული სახელი „ქეთევანი“ რატომ ჰქვია?***

– ხმის ჩამწერ სტუდიაში ვისხედით და ალბომის სახელს ვარჩევდით. ალბომის სახელისთვის ქართული სიტყვები მქონდა ჩამოწერილი. მოულოდნელად მკითხეს, როგორ მოგმართავენ საქართველოში? როგორ გამოითქმის შენი სახელი ქართულადო. ქეთის ქართული ვარიანტი ქეთევანია და ეს ყველას ძალიან მოეწონა.

***– როგორ შეაფასებთ 10 წლიან მუსიკალურ კარიერას?***

– ამას დიდ მოგზაურობას დავარქმევდი. ჯერ ისევ გზაზე ვდგავარ და მუსიკას ვქმნი. მსიამოვნებს სცენაზე ყოფნა. განვლილ გზას ვუყურებ და ვამაყობ.

***– წლის ბოლოსთვის რა სიახლეს უნდა ველოდოთ?***

– სხვადასხვა კონცერტებს ვგეგმავ. დეკემბერში ევროპის რამდენიმე ქვეყანას ვესტუმრები და ახალი ალბომის პრომოს გავმართავ.

ქეთი მელუას მომდევნო ინტერვიუ „დეილი მეილში“ გამოქვეყნდა, რომელიც მკითხველს აცნობს მომღერლის მოგონებებს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით:

***– ბავშვობის ყველაზე ძველი მოგონება...***

– ეს იყო საქართველოში, ბაბუასთან ერთად ბინაში ცეკვა. ეს კომუნიზმის დღეები იყო. 3 წლის ვიყავი და მის ფეხებზე ვცეკვავდი. ეს საუკეთესო მოგონებაა. თუმცა, იმავე ბინაში წლების შემდეგ ბაბუას გულის შეტევა დაემართა, ეს ნამდვილი საშინელება იყო.

***– როგორი ხასიათის ბავშვი იყავით?***

– თავდაჯერებული და ენერგიული ვიყავი. სხვადასხვა შოუებს ვდგამდი და მშობლებს ვაჩვენებდი. ისინი ბილეთებს ტკბილეულით ყიდულობდნენ. კორპუსის ბინაში მეოთხე სართულზე ვცხოვრობდით. მეზობლად უამრავი ბავშვი ცხოვრობდა. ბავშვისთვის ძალიან თბილი და ბედნიერი გარემო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი ბობოქრობდა და დენი არ გვქონდა.

***– ბოლოს თავი ბედნიერად როდის იგრძენით?***

– როდესაც რეპეტიცია ქართულ გუნდთან ერთად გავიარე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს წარსული და აწმყო გაერთიანდა.

***– ყველაზე მეტად რა გაწუხებთ?***

– ჩემი სიმაღლე. 155 სანტიმეტრი ვარ. კარგი იქნებოდა, ცოტა მაღალი ვყოფილიყავი.

***– თქვენი ყველაზე ცუდი თვისება?***

– გადაწყვეტილების მიღება მიჭირს. კომუნისტურ საქართველოში გავიზარდე და პოლიტიკოსობა მინდოდა.

***– რაზე ოცნებობთ?***

– დღემდე მაქვს აუსრულებელი ოცნება, ყოველთვის მინდოდა სკოლაში გაკვეთილებზე დამეგვიანა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. კლასის საუკეთესო მოსწავლე ვიყავი, განსაკუთრებით ფიზიკაში, ქიმიასა და ისტორიაში.

***– ვინმესთვის ბოდიშის მოხდა ხომ არ გინდათ?***

– როდესაც 15 წლის ვიყავი, ჩემს მეგობარ რეიჩელთან ერთად „სულების სეანსის დაფას“ ვთამაშობდი. მოვატყუე, რომ დაფაზე ასოები თავისით შეიცვალა. მას ძალიან შეეშინდა და ამის გამო ძალიან აღელდა. მოგვიანებით ვუთხარი, რომ ყველაფერი მოვიგონე. ის დღემდე არ მელაპარაკება. რეიჩელ, მაპატიე!

# რას ითხოვს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დაეცა წიგნები ნუცა თაყაიშვილის პირადი ბიბლიოთეკიდან, ეთერ საღირაშვილის მამის დავით საღირაშვილის პირადი არქივი. საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა მეცნიერმა გიორგი მამულიამ ეროვნულ ბიბლიოთეკას პირადი კოლექციიდან ქართული ემიგრაციის ისტორიის ამსახველი ემიგრანტული პრესის, წიგნადი და ფოტომასალების ციფრული ვერსიები გადასცა.

– ეროვნული ბიბლიოთეკა პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ირენ ციციშვილს, ქრისტინე ფაღავას, „ქართულ კერას“, საქართველოს საელჩოს საფრანგეთში და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს რუსუდან ასათიანს, – ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი ხელმძღვანელობა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ზრუნავს. არსებული მემორანდუმების ფარგლებში ყოველწლიურად ეროვნული ბიბლიოთეკის 3 თანამშრომელს საშუალება ეძლევა, გაიაროს სასერტიფიკატო კურსები საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. 5 თანამშრომელს კი საშუალება ეძლევა, გაიაროს სასერტიფიკატო კურსები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. კურსები ხელმისაწვდომია უფასოდ ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისთვის.

– დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ სამოტივაციო წერილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს პირველი ნოემბრის ჩათვლით. ეროვნული ბიბლიოთეკიდან კურსებზე წარგზავნილი თანამშრომლები შერჩეულნი იქნებიან ქვემოთ დასახელებული კრიტერიუმებიდან ერთით მაინც: შერჩეული კურსის რელევანტურობა ყოველდღიურ სამუშაო საქმიანობასთან; ნამსახურობის ნუსხა; მოტივაცია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სურვილისა და შესაბამისი მოტივაციის შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორებს ეძლევათ საშუალება, რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთი დეპარტამენტის თანამშრომლებს, რასაც ასევე გაუგზავნიან ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს ელექტრონულ ფოსტაზე. გირჩევთ, გამოიყენოთ საკუთარი პროფესიული განვითარების ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა და გისურვებთ წარმატებებს, – აღნიშნულია ეროვნული ბიბლიოთეკის საგანგებო მიმართვაში.

# გურამ ოდიშარია სტამბოლშია

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია სტამბოლში აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესს ესწრება. „აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესი რეგიონში ვაჭრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის ხელშეწყობისათვის“ – ასეთია კონგრესის სახელწოდება, რომელიც 29 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. საქართველოს კულტურის მინისტრი სტამბოლში თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის ომერ ჩელიქის მოწვევით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში გურამ ოდიშარია აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებით გამოვა და სიტყვით მიმართავს დამსწრე საზოგადოებას.

აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესი ჩინური აბრეშუმის გამოფენით გაიხსნება და გაგრძელდება თემატური სესიებით. კონგრესი აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს განიხილონ ძალთა გაერთიანებისა და კონსოლიდაციის პერსპექტივები და დაგეგმონ ახლო სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობის გზები, ასევე განხილული იქნება კონგრესის მონაწილე ქვეყნებს – აზერბაიჯანს, ჩინეთს, საქართველოს, ინდოეთს, ირანს, ერაყს, ყაზახეთს, მონღოლეთს, პაკისტანს, რუსეთს, სამხრეთ კორეას, სირიას, ტაჯიკეთს, თურქეთსა და უზბეკეთს შორის სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირები და თანამშრომლობის მიმართულებები აბრეშუმის გზის კონტექსტში; ასევე, აბრეშუმის გზის გაგრძელება თურქეთიდან დასავლეთ ევროპისაკენ.

29 ოქტომბერს სტამბოლში დაგეგმილია პეკინი-ლონდონის რკინიგზის შემაერთებელი მონაკვეთის, მარმარაის წყალქვეშა გვირაბის, ოფიციალური გახსნა. ამ პროექტის დასრულების შემდგომ, პირველად აბრეშუმის გზის ისტორიაში რკინიგზით გადაადგილება გახდება შესაძლებელი.

– ბოლო პერიოდში, ბევრი რამ გაკეთდა აბრეშუმის გზის აღსადგენად, ეს საერთაშორისო კონგრესი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რეგიონში ვაჭრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის ხელშეწყობისათვის. აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიო ეკონომიკის, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სფეროების განვითარებისთვის.

აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ინსტიტუტები და უნივერსიტეტები. კონგრესს კოორდინირებას უწევს ანკარის აზროვნებისა და კვლევის ცენტრი და სტამბოლის სავაჭრო უნივერსიტეტი, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესის სესიების გახსნა დაიგეგმა მინისტრების გამოსვლებით და თემებით „საერთაშორისო ურთიერთობები ქვეყნებსა და კულტურებს შორის“, „ეკონომიკა და ვაჭრობა აბრეშუმის გზის გასწვრივ“, „კულტურა და ცივილიზაციები აბრეშუმის გზის გასწვრივ“. კონგრესის პირველი დღე გალა-კონცერტით დაიხურება.

29 ოქტომბერს სესიებზე განიხილება თემები „ეკონომიკა და ფინანსები; სოციოლოგია; რელიგია და განათლება; მოდერნიზაცია“, „საერთაშორისო ურთიერთობები; გარემო და ენერგია; ტრანსპორტი და ეკონომიკური ინტეგრაცია; ინვესტიციები და უსაფრთხოება“, „ხელოვნება და კულტურა; ვაჭრობა და სავალუტო კურსი; ისტორიული ექსკურსი; ინვესტიციები და განვითარება“, „ბიზნესი; ენერგია; მშვიდობა და სტაბილურობა; ეკონომიკა წარსულში“.

აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესის მონაწილეები არიან პროფესორი დოქტორი აჰმეთ დავუთოღლუ (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი), ბინალი ილდირიმი (თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო ურთიერთობების და კომუნიკაციების მინისტრი), ჰაიათი იაზიჯი (თურქეთის საბაჟოს და ვაჭრობის მინისტრი), გურამ ოდიშარია (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი), ომერ ჩელიქი (თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი), ასევე, აბრეშუმის გზის ქვეყნების სხვა მინისტრები. მთავარ მომხსენებლებად კი შეირჩნენ პროფესორი დოქტორი ნიკოლა დი კოზმო და პროფესორი დოქტორი ზურაია ფაროღი.

სტამბოლში გამგზავრებამდე გურამ ოდიშარიამ მონაწილეობა მიიღო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და საკუთარი პოზიცია ვაკის №2 საარჩევნო ოლქის, №23 საარჩევნო უბანში დააფიქსირა. კულტურის მინისტრი იმავე საღამოს უკვე სტამბოლში გაფრინდა.

თუმცა საქართველოდან გამგზავრებამდე მინისტრი ჩარგალში იმყოფებოდა, სადაც ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელში სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ აღინიშნა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა. ვაჟაობასთან დაკავშირებით, სახლ-მუზეუმის ეზოში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა. მათ შორის, ტურნირი მკლავჭიდსა და ჭიდაობაში, ასევე უძველესი ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენა. ლუდი „მთიელის“ ორგანიზებითა და ადგილობრივი ხევისბერი შავფაროსნების ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა ლუდის კოდის დალოცვის უძველესი რიტუალიც. სპეციალურად მოწყობილ მოედანზე წიგნების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე გამომცემლობამ. გამოფენა პირველად წელს დაფუძნდა და მომავალში ყოველ „ვაჟაობაზე“ გაიმართება, რაც საშუალებას მისცემს ქართულ გამომცემლებს, ყოველწლიურად, ვაჟაობის დღესასწაულზე წამოადგინონ თავიანთი ახალი წიგნები ავტორებთან ერთად. მუზეუმის ტერიტორიაზე სახალხო რეწვის სხვადასხვა ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა შედგა. მის ერთ-ერთ დარბაზში კი გამოიფინა ქართველი და უცხოელი კალიგრაფისტების ნამუშევრები ვაჟას თემაზე. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში დაიგეგმა ვაჟას ქოხში, მის სამუშაო ოთახში პრემიერის შეხვედრა-გასაუბრება ქართველ მწერლებთან და პოეტებთან. საუბარი შეეხებოდა არსებულ პრობლემებს, სახელმწიფოს მიდგომასა და გეგმებს ლიტერატურის დარგში. შეხვედრას ესწრებოდნენ მწერლები მიხო მოსულიშვილი, ტარიელ ხარხელაური, მარიამ წიკლაური, რატი ამაღლობელი. „ვაჟაობასთან“ დაკავშირებით ჩატარდა დოღიც, რომლის შემდეგაც დღესასწაულის დასკვნითმა კონცერტმა დაასრულა.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მექსიკური არაყი; 2. ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 3. ქართული მალამო; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა, საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების შემაერთებელი ერთ-ერთი სრუტე; 11. სამშენებლო მასალა; 12. დედალი ჯიხვი; 14. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისაგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად:** 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. მგალობელი ჩიტი; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო ქალების როლის შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 20. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 22. მევენახეობა, მეღვინეობის ოლქის საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ესტონეთი; 7. კუპიდონი; 8. პარიზი; 9. ტრაპი; 10. ლიტორალი; 11. ილუზიონი; 15. პარანთროპი; 17. კიმონო; 19. ლაბრადორი; 21. კანტორი; 22. ლამინარია; 23. მაყვალი.

**შვეულად:** 1. ისტორია; 2. კირილიცა; 3. ოპტიკა; 4. კონკა; 5. დიალექტი; 8. პინგვინი; 12. ზარი; 13. კატაკანა; 14. აპრილი; 16. კოლიბრი; 18. ფარდა; 20. რემა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აირანი; 2. არია; 3. ბელგია; 4. სიესტა; 5. ცდა; 6. ერე; 7. მატროსი; 8. კანტი; 9. ტამბური; 10. რა; 11. „ცისკარა“; 12. ბალი; 13. ელვა; 14. სეი; 15. მისის; 16. ალენ; 17. სვია; 18. სპირტი; 19. კელნერი; 20. ეკიუ; 21. უნია; 22. პაი; 23. კიტელი; 24. სეინერი; 25. მესია; 26. ჟამი; 27. პრესტიჟი; 28. ნასა; 29. სემინარია; 30. ცენტნერი; 31. ფარცხი; 32. „ალია“.

**სურათებზე:** დაიანა როსი; მარსელო ვიეირა და სილვა.

# ჰანს-პიტერ ფრიდრიხი: გერმანიას ამერიკისადმი ნდობა შეერყა

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ჰანს-პიტერ ფრიდრიხის განცხადებით, მისი ქვეყანა ამერიკას უწინდებურად ვეღარ ენდობა. მისი თქმით, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ნამდვილად იწერდა გერმანიის კანცლერ ანგელარ მერკელის სატელეფონო საუბრებს.



„ჩვენი მოკავშირისადმი, ამერიკისადმი ნდობა-შერყეულია“, — განუცხადა მინისტრმა ერთ-ერთ გაზეთს.

ამერიკის ეროვნული უსაფრთოების სააგენტოს პრესმდივანმა კი ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელს კიტ ალექსანდერს გერმანიის ლიდერის ტელეფონის მოსმენების შესახებ ობამასთან არასოდეს უსაუბრია. ამის შესახებ დარწმუნებით წერენ გერმანული გამოცემები.

ყველაფერი გამოცემა „შპიგელში“ დაბეჭდილი ინფორმაციის შემდეგ დაიწყო, სადაც საუბარი იყო რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო 2002 წლიდან მოყოლებული გერმანიის კანცლერის სატელეფონო საუბრებს ისმენდა.

„სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, მალე გერმანია ვაშინგტონში ამ ინფორმაციის „გადასამოწმებლად“ გერმანიის დაზვერვის მაღალჩინოსნებს გააგზავნის.

შეგახსენებთ, რომ ანგელა მერკელის მობილური ტელეფონის მოსმენებთან დაკავშირებით ამერიკის ელჩი ჯონ ემერსონი ქვეყნის დიპლომატიურ უწყებაში დაიბარეს. გერმანიის მთავარი დიპლომატი გვიდო ვესტერველე პირადად შეხვდა ელჩს.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერმა და ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამა ტელეფონით ისაუბრეს. ობამამ მერკელს განუცხადა, რომ მის სატელეფონო საუბრებს არ იწერს და ამის გაკეთებას არც მომავალში გეგმავს.

# სირიელი მეამბოხეები რეჟიმთან მოლაპარაკებას არ აპირებენ



სირიელი მეამბოხეების 19-მა ჯგუფმა ნოემბერში დაგეგმილ ჟენევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, სადაც საუბარია რომ ეს ჯგუფები ნებისმიერი რეზოლუციის წინააღმდეგ გამოდიან, სადაც ასადის მთავრობის გადადგომის შესახებ არ იქნება მოწოდება გაკეთებული.

კვირას ამ ჯგუფების მიერ გავრცელებულ ვიდეომიმართვაში, ასევე საუბარია, რომ რეზოლუციაში მითითებული უნდა იყოს, რომ ასადის მთავრობის წევრებმა სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს.

„სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, ეს 19 ოპოზიციური ჯგუფი უმთავრესად ისლამისტი მეამბოხეების კოალიციას წარმოადგენს, რომლებსაც „ალ ქაიდასთან“ დაახლოებულ რადიკალურ ფრთასთან კავშირები არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენციის ორგანიზატორები ამერიკა და რუსეთი არიან. კონფერენციის ზუსტი თარიღი ამ დრომდე უცნობია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით ნოემბერში გაიმართება. სირიაში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ლაკდარ ბრაჰიმის ოფისის განცხადებით, ამ დრომდე შეთანხმებული არ არის ამ კონფერენციაში მონაწილეთა სია.

ამ ფონზე, ორშაბათს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სირიის საზღვართან მდებარე ქალაქში მეზობელი ქვეყნიდან ჭურვის ჩამოვარდნას 35 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

„როიტერს“ თურქეთის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენელმა განუცხადა, რომ სირიის ქალაქ რას ალ-აინში ქურთი მეამბოხეები და ისლამისტი შეირაღებული მებრძოლები ებრძვიან ერთმანეთს, რაც თურქეთი ჭურვის ჩამოვარდნის მიზეზი გახდა.

თურქეთის ქალაქ ჯეილანპინარში ხელისუფლებამ სკოლები დახურა და მოსახლეობა გააფრთხილა საკუთარი სახლები არ დატოვონ.

გასული წლის ოქტომბერში სირიის მხრიდან თურქეთის სასაზღვრო ქალაქში ჩამოვარდნილ ჭურვს 5 ადამიანი ემსხვერპლა.

# სერგეი ლავროვი: უკრაინისთვის შეღავათები დასრულდა



უკრაინისა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შეთანხმების დადების შესახებ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მკაცრი განცხადებების შემდეგ, რუსეთის მთავარმა დიპლომატმა სერგეი ლავროვმა რამდენიმე განმარტება გააკეთა. მისი თქმით, უკრაინის ევროინტეგრაციის გამო, მოსკოვსა და კიევს შორის სავაჭრო კავშირის გაწყვეტა არ იგეგმება. ამასთან, ლავროვმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ უკრაინის ხელისუფლება თითქმის ვეღარ შეძლებს იმ შეღავათებით სარგებლობას, რომელსაც 2011 წელს დსთ-სთან დადებული თავისუფალი სავაჭრო ზონის შეთანხმება გულისხმობს.

„სავაჭრო კავშირის გაწყვეტა არ მოხდება. თუმცა, დამყარდება ისეთი კავშირი, როგორიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა წევრებთან გვაქვს. დამატებითი შეღავათები კი, რომელიც დსთ-ს შეთანხმება ითვალისწინებს, თითქმის აღარ იქნება, თუ უკრაინის ბაზარი ჩვენთვის კონკურენტული ევროკავშირის საქონლით შეივსება“, — „ინტერფაქსის“ ცნობით, ამის შესახებ ლავროვმა საერთაშორისო თანამშრომლობის რუსეთ-უკრაინის ქვეკომიტეტის მე-8 სხდომაზე განაცხადა.

მინისტრის სიტყვებით, დიალოგი ნებისმიერ შემთხვევაში გაგრძელდება. ლავროვმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვმა კიევს არაერთხელ შესთავაზეს მოქმედების სხვადასხვა ვაირანტი, რომლებშიც „ორივე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები უმაღლეს დონეზე იყო გათვალისწინებული“.

„ინტერფქსის“ ცნობით, ლავროვმა სხდომაზე ისიც აღნიშნა, რომ იმედი აქვს უკრაინა ნატოში არ გაწევრიანდება: „ჩვენ დიდი პატივისცემით ვეპყრობით უკრაინის არაბლოკურ სტატუსს და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პარტნიორები არაბლოკური პრიორიტეტების მიყოლას გააგრძელებენ“.

„ევროკავშირის პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნები იძულებულები არ უნდა გახდნენ არჩევანი ევროკავშირსა და რუსეთს შორის გააკეთონ“, — ამის შესახებ ევროპარლამენტის ხელმძღვანელმა მარტინ შულცმა განაცხადა.

„ყველა ქვეყნის სუვერენულ უფლებას წარმოადგენს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ვისთან დადოს სავაჭრო შეთანხმება და რომელ ეკონომიკურ ბლოკში გაწევრიანდეს. საქმე ევროკავშირსა და რუსეთს შორის არჩევანს არ ეხება“,-საუბარია შულცის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შულცის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს: „ეს ჩვენი ყველას ინტერესებში შედის“,-აღნიშნავს მარტინ შულცი.

მან იმედი გამოთქვა, რომ ნოემბერში დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმებას მოეწერება ხელი.

# ჯექსონის ექიმის პატიმრობის ვადა დღეს ამოიწურა

„სი-ენ-ენის“ ცნობით, ექიმ კონრად მიურეის პატიმრობიდან დღეს გაათავისუფლებენ — მომღერალ მაიკლ ჯექსონის სიკვდილის „გამოწვევაში“ დადანაშაულებულმა ექიმმა ორი წელი გაატარა ციხეში.

მიურეის უნებურ, არაგანზრახ მკვლელობისათვის ოთხი წელი ჰქონდა მისჯილი, თუმცა კალიფორნიის ციხეში მოქმედი წესების მიხედვით, მან ოთხწლიანი პატიმრობა ორ წელიწადში მოიხადა.



შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ნოემბერში სასამართლომ ექიმი გულგრილობაში დაადანაშაულა, რასაც მაიკლ ჯექსონის სიკვდილი მოჰყვა.

ამ ეტაპზე, მიურეი პაციენტების მკურნალობას ვეღარ შეძლებს, ვინაიდან მას ლიცენზია შეჩერებული აქვს. მისი ადვოკატების თქმით, ექიმი ლიცენზიის აღდგენას შეეცდება.

2009 წლის აპრილში მასმედიისთვის გახდა ცნობილი, რომ ექიმებმა ჯექსონს კანის კიბო აღმოუჩინეს, მაგრამ მომღერლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ მომღერალი სრულიად ჯანმრთელია. ამავე წლის 25 ივნისს ლოს ანჯელესში მისივე საცხოვრებელ სახლში, პოპ-მუსიკის ლეგენდა წაიქცა. ამერიკის პოლიციის ნომერზე — 911 ადგილობრივი დროით 12:21 წუთზე დაირეკა. როდესაც ექიმები მივიდნენ, ჯექსონს უკვე სუნთქვა შეწყვეტილი ჰქონდა. მას სწრაფად ჩაუტარეს გულის მასაჟები, მაგრამ იგი კალიფორნიის უნივერსტეტში მიყვანისას კომაში ჩავარდა და გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი, სავარაუდოდ გულის გაჩერება გახდა. მართალია, ჯექსონის გარდაცვალებაში კრიმინალური კვალი არ ჩანდა, მაგრამ პოლიცია საქმეს მაინც იძიებდა.

# ბავშვობისას მიღებული თავის ტრავმები დეპრესიის რისკს ზრდის



თავის უმნიშვნელო ტრავმებმა, შეიძლება ადამიანს მძიმე და მოულოდნელი შედეგები მოუტანოს. ასეთი დასკვნა გააკეთეს ამერიკელმა ექსპერტებმა. როგორც „აქტუალ ნიუსი“ წერს, თავის ტრავმების შედეგად, არცთუ იშვიათად დეპრესია ვითარდება.

საერთო ჯამში, სპეციალისტებმა 2 ათასი ბავშვის და ამდენივე ზრდასრულის სამედიცინო ისტორია გამოიკვლიეს, ვისაც ქალა-ტვინის ტრავმა ჰქონდა გადატანილი.

საერთოდ, სპეციალისტების თქმით, ბოლო წლებში დეპრესიის დიაგნოზს სულ უფრო ხშირად სვამენ ბავშვებში. 2007 წლის სტატისტიკით, დეპრესიისგან ბავშვების 1,5% იტანჯებოდა. ხოლო 2013 -ში 4 %, ნაწილობრივ ეს სწორედ თავის ტრავმებით არის გამოწვეული.

თუმცა ფისიქიკური დარღვევების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახსა და სკოლაში არსებული ვითარება. მაგრამ სპეციალისტები ექიმებს მოუწოდებენ განსაკუთრებულად დააკვირდნენ ბავშვებს, რომლებმაც ქალა-ტვინის ტრავმა გადაიტანეს.

თავის მხრივ, დეივ ელემბერგი მონრეალის უნივერსიტეტიდან, მოზარდობის პერიოდში მიღებულ შერყევას ყველაზე სახიფათოდ მიიჩნევს. მსგავსი ტრავმები ნეგატიურად მოქმედებს მოზარდების სამუშაო მახსოვრობაზე, რომელიც მოკლე ინფორმაციის დამუშავებისა და შენხვის საშუალებას იძლევა.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ნიკოლოზი და გივი, შვილიშვილი გელა კიკნაძეები, რძლები თამარ კიკალიშვილი და ნინო არდაშელია, ძმისშვილები ნელი ბარათელი და გულია კიკნაძე, მძახალი შოთა კიკალიშვილი ოჯახით და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**გელა ნიკოლოზის ძე კიკნაძის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი სარგვეში.

მეუღლე ციცო სულაძე, შვილები დავით და მაკა მიროტაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ მიროტაძე**

პანაშვიდი: 29, 30 ოქტომბერს.

დაკრძალვა: 31 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 75ა, III სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თურქეთში მსოფლიოს ყველაზე მაღალი ადამიანი დააქორწინეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მა ოპერაცია ჩაუტარეს და კოსენმა ზრდა შეწყვიტა.

კოსენამდე მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანად ითვლებოდა ილიონისელი რობერტ უოდლოუ — 1940 წელს, გარდაცვალების მომენტისთვის მისი სიმაღლე 2,72 მეტრს შეადგენდა. 2004 წელს, სიმაღლის რეკორდი უკრაინელ ლეონიდ სტადნიკს ეკუთვნოდა — 2,53 მეტრი. თუმცა 2009 წელს სტადნიკმა კვლავ აზომვაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ საყოველთაო ყურადღებისგან დაიღალა და მსოფლიოში ყველაზე მაღალის ტიტულმა ბედნიერება ვერ მოუტანა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

**სამშაბათი 29 ოქტომბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" — მხ/ფ "**გაყინული**" (ლ.დე ფიუნესი) **17.00** დ/ფ სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **00.30** მხ/ფ "**ჩვენი მამების დროშები**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" — "ბუდაპეშტი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" **2** ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ "**მძევალი 2**" (მ.გრეისი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" **1** სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" **11.05** დოკ/ფ "იყალთოური ორნამენტები" **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**წკიპურტები**" **13.15** დოკ/ფ "გუდის ყველი" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **2** სერ. **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - გოგი დოლიძის ხსოვნის საღამო **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ "**ღვინის ქურდები**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** დოკ/ფ "ვასილ ამაშუკელი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" **2** სერ.

მაესტრო **7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55" 8.10" 9.15** მაღვიძარა. **8.00" 9.00" 10.00" 12.00" 15.00" 18.00" 21.00** ახალი ამბები. **10.15" 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო — 2,3009

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7003

100 რუსული რუბლი — 5,2649

## ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისთვის





## მალე!

## ქართული დეტექტივი

## ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

## საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ........................ მგლის ბილიკი

ტომი 2 ........................ შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ: 09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

გაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

**კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!**

**25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ახალი, ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 3. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 5. ფრანგული მინერალური წყალი; 6. ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი ფრანგი მოქანდაკე; 8. ყველაზე დიდი კუნძული მსოფლიოში; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული, გუტაპერჩის შემცველი, სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. ცხენის მოსართავი; 15. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად:** 1. ლექსის გარითმული სტრიქონი; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური; 9. ქართველი მწერალი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. აშშ-ს ელჩი საქართველოში; 13. სასტუმროს თანამშრომელი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## ქართველებმა ევროპა ჩეხეთის ძლევით დაიწყეს



საქართველოს 19 წლამდე მოთამაშეთა ნაკრებმა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე პირველ მატჩში ჩეხეთის ნაკრებს დიდი ანგარიშით – 69:8 სძლიეს. ამ მოგებით უმცროსი ბორჯღალოსნები ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ სადაც ესპანელ თანატოლებს შეხვდებიან, რომლებმაც თავის მხრივ მეოთხედფინალურ ეტაპზე რუმინელებს 27:3 მოუგეს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს პორტუგალიის და ბელგიის ნაკრებები შეერკინებიან.

დავით ვართანიანი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი დავალება ბოლომდე შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ შედარებით სუსტ მეტოქესთან რთულია კონსტრუქციულად და დალაგებულად თამაში, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე შემჭიდროვებულად ითამაშეს, რაც შესაბამისად ანგარიშზეც აისახა. ჩეხეთის ეტაპი გადავლახეთ და ახლა მთელი ძალებით დავიწყებთ ესპანეთისათვის მზადებას. დილიდან ჩვენი მეტოქის თამაშის ვიდეო ანალიზს შევუდგებით და განვსაზღვრავთ თუ რას უნდა მივაქციოთ მეტად ყურადღება.

ირაკლი აბუსერიძე, საქართველოს რაგბის კავშირის სპორტულმა დირექტორი:

– ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი გუნდის თამაშით. ისინი გონივრულად თამაშობდნენ, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა გუნდის კარგ სათამაშო დისციპლინას და სწორ, პრაგმატულ გადაწყვეტილებებს.

ამრიგად, ნახევარფინალური შეხვედრა საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის 30 ოქტომბერს, თბილისის დროით 21:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ქეთი მელუას ახალი კლიპი აქვს

ეკა ირემაშვილი



ბრიტანეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს ქეთი მელუას ახალი კლიპი აქვს. ნამუშევარი მან მსმენელს უკვე წარუდგინა. კლიპი მის ერთ-ერთ უახლეს სიმღერაზე შეიქმნა, რომელიც მომღერლის ახალ ალბომში „ქეთევანი“ არის შესული. ეს სიმღერა, რომელზეც მომღერალმა კლიპი გადაიღო, ახალი ალბომიდან უკვე მეორე სინგლია. ალბომი „ქეთევანი“ ქეთი მელუასთვის მეექვსეა.

ქეთი მელუა შემოქმედებითად არასოდეს არის გაჩერებული. ის ყოველთვის მონაწილეობს სხვადასხვა კონცერტებში, საქველმოქმედო საღამოებში, არც თავისი სამშობლო ავიწყდება. მომღერალი ახლახან იმყოფებოდა საქართველოში, სადაც ვარძიის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერა და მისი გადარჩენისთვის სპეციალური კამპანიაც წამოიწყო, ქეთი მელუა პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდის „იავნანა“ აქციაშიც ჩაერთო და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის იმღერა.

გასულ თვეში ქართველმა მომღერალმა ლონდონში თავისი შემოქმედების 10 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიებაში ანსამბლი „შვიდკაცაც“ მონაწილეობდა. კონცერტი ლონდონის ისტორიულ დარბაზში გაიმართა. საქველმოქმედო კონცერტზე ქეთი მელუამ და „შვიდკაცამ“ ორი ინგლისურენოვანი სიმღერა შეასრულეს. როგორც ქართველმა მომღერალმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას თავის კონცერტში ქართული მრავალხმიანობის აჟღერება ოცნებად ჰქონდა ქცეული და ეს ოცნება სცენაზე დგომის ათი წლისთავზე აიხდინა კიდეც.

უცხოენოვანი სიმღერების გარდა, „შვიდკაცამ“ და ქეთი მელუამ კონცერტზე ორი ქართული სიმღერა „სულიკო და „სვანური“ შეასრულეს. ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზში შეკრებილი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქეთი მელუამ გასულ წელს ოჯახი შექმნა, მან თავისი ბედი მოტომრბოლელ ჯეიმს ტაუზლენდს დაუკავშირა, რომელიც ასევე გატაცებულია მუსიკით, უკრავს, მღერის და თავისი ბენდიც ჰყავს. ქართველმა მომღერალმა თანადგომისთვის ქმარს მადლობა გადაუხადა. როგორც მან ჟურნალ „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, გარკვეული იმედგაცრუებისა და გეგმების ჩაშლის შემდეგ, მას სწორედ მეუღლე დაეხმარა ცხოვრებაში ბალანსი ეპოვა:

– ვაღიარებ, რომ იყო გარკვეული მარცხი. თუმცა, ჯეიმსი მუდამ მხარში მიდგას. ქორწინებამ რადიკალურად შემცვალა. გეტყვით, როდის გავაცნობიერე, რომ დარჩენილი ცხოვრების მასთან ერთად გატარება მსურდა, პირველივე დღიდან მან გაითავისა, რომ მუსიკა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ერთხელ ასეთი რამ მითხრა: „კარგად მესმის, რას ნიშნავს გქონდეს საქმე, რომლისთვისაც თავს გაწირავ, ან მის გამო ყველაფერს გააკეთებო, – აღნიშნა ქართველმა მომღერალმა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## თურქეთში მსოფლიოს ყველაზე მაღალი ადამიანი დაქორწინეს



მსოფლიოს ყველაზე მაღალმა ადამიანმა სულთან კოსენმა, ოჯახური ბედნიერება ჰპოვა. ის სირიული წარმოშობის თურქზე, მერვე დიბოზე დაქორწინდა. ცერემონია თურქულ ქალაქ მერდინში გაიმართა, იტყობინება ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“.

30 წლის კოსენმა, საკუთარი ბედი ათი წლით უმცროს გოგონას დაუკავშირა. კოსენის რჩეულის სიმაღლე არ ზუსტდება, მაგრამ „დეილი მეილი“ წერს, რომ თავის ახლადგამომცხვარ ქმარზე 82 სანტიმეტრით დაბალია. საერთოდაც, გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ფოტოების მიხედვით, სარძლო სასიძოს იდაყვებამდე თუ მიწვდება.

ცნობილია, რომ თავად სულთან კოსენის სიმაღლე 2,51 მეტრს შეადგენს. 2009 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს, როგორც პლანეტაზე ყველაზე მაღალი მამაკაცი. თურქი გოლიათის უჩვეულო ზომების მიზეზი იშვიათი პათოლოგია გიგანტიზმია, რომელიც ჰიპოფიზის სიმსივნისგან წარმოიქმნება. ის კოსენს 10 წლის ასაკში აღმოუჩინეს. მოგვიანებით ექიმებ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 29 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ბევრი საქმე გაქვთ, ეცადეთ, დრო გამონახოთ სიყვარულისთვის, თორემ ...

**ლომი** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ქალწული** – ღალატი არ აპატიოთ, სხვა ყველაფერი აპატიეთ. **სასწორი** – ახალი შემოთავაზება მშვენიერია. **ღრიანკალი** – წარმატება არ აგცდებათ, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ. **თხის რქა** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მერწყული** – ბედი გწყალობთ, საქმე კარგად მიდის. **თევზები** – თავს გაუფრთხილდით, თბილად ჩაიცვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი